ჭავჭავაძის
ცენტრი
ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული
კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი

ლიბერალიზმი
და საქართველო

თეიმურაზ ხუციშვილი
ნინო კალანდაძე
გაიოზ (გია) ჯაფარიძე
გიორგი ჯოხაძე
გიორგი ხარებავა

ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა
და სამოქალაქო განათლების ცენტრი

ლიბერალიზმი და საქართველო

თბილისი
2020

ლიბერალიზმი და საქართველო

© ა(ა)იპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და
სამოქალაქო განათლების ცენტრი, 2020
www.chavchavadzecenter.ge

© ავტორები: თეიმურაზ ხუციშვილი, ნინო კალანდაძე,
გაიოზ (გია) ჯაფარიძე, გიორგი ჯოხაძე, გიორგი ხარებავა, 2020

მთავარი რედაქტორი: ზაზა ბიბილაშვილი

ტექსტის რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი

პუბლიკაცია მომზადდა საგრანტო პროექტის ფარგლებში „საღი აზრი: სამოქალაქო საზოგადოება პოლიტიკის პირისპირ“, კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის ბიუროს მხარდაჭერით. აღნიშნული ტექსტის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები და მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის პოზიციას. აკრძალულია წიგნში შეტანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

Konrad
Adenauer
Stiftung

ნაშრომში შეტანილი წვლილისთვის ცენტრი მადლობას უხდის კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორს, დავით მაისურაძეს და სტუდენტებს ნიკა წილოსანს და ანა ლოლუას.

დამკაბადონებელი: ირინე სტროგანოვა

გარეკანის დიზაინერი: თამარ გარსევანიშვილი

ISBN 978-9941-31-288-5

სარჩევი

წინასიტყვაობა ცენტრის სახელით 5

შესავალი..... 9

თავი I – რა არის ლიბერალიზმი? 13

ლიბერალიზმის ისტორიული გაგება 13

კლასიკური ლიბერალიზმის ჩამოყალიბება 15

ლიბერალიზმის გავრცელება ამერიკის შეერთებულ შტატებში 22

ლიბერალური დემოკრატია 23

თავი II – ლიბერალიზმი საქართველოში 26

თავი III – ლიბერალიზმის აღქმა თანამედროვე საქართველოში 37

ლიბერალიზმის გამრუდებული აღქმის მიზეზები 42

საბჭოთა პერიოდი 43

პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობა 50

დასკვნა..... 64

ბიბლიოგრაფია..... 66

ქართულენოვანი ლიტერატურა..... 66
ინგლისურენოვანი ლიტერატურა 68
გამოყენებული დოკუმენტები 70
გამოყენებული ინტერნეტ-წყაროები..... 70

წინასიტყვაობა ცენტრის სახელით

ლიბერალიზმი თანამედროვე დასავლური დემოკრატიის იდეოლოგიური ქვაკუთხედია. ფართო გაგებით, ლიბერალიზმი მოიცავს იმ ცნებებს, რომელებსაც საქართველოში „დასავლურ ღირებულებებად“ მოვიხსენიებთ: ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები, საკუთრების უფლება და კანონის უზენაესობა. ეს იმ ლიბერალური იდეოლოგიის პრინციპების არასრული ჩამონათვალია, რომელებსაც დემოკრატიის ფუნდამენტად მიიჩნევენ პოლიტიკის მეცნიერებები და თანამედროვე პოლიტიკური აზრი.

დემოკრატიულ ქვეყნებში წამყვანი პოლიტიკური პარტიები სწორედ კლასიკურ ლიბერალურ ღირებულებებსა და მსოფლმხედველობაზე აფუძნებენ თავიანთ პოლიტიკურ პროგრამებსა თუ პლატფორმებს, მიუხედავად მათი ისტორიული წარმომავლობისა. მათ მიდგომებში განსხვავება დიდწილად ეკონომიკური თუ ინდივიდუალური თავისუფლებებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოს მონაწილეობის, ჩარევის მასშტაბებშია. მეტიც, დასავლეთში არსებობს პოლიტ-აკადემიური მიმართულება, რომელიც მიიჩნევს, რომ არ არსებობს დემოკრატია ლიბერალიზმის გარეშე, რადგან არალიბერალური დემოკრატიები პრაქტიკაში ვერ ინარჩუნებენ მდგრადობას და ავტორიტარიზმისკენ უკუსვლის ნიშნებს ავლენენ.

დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში ლიბერალიზმის თავდაპირველმა აღქმამ მნიშნელოვნი ტრანსფორმაცია განიცადა

და დღეს ის, განსაკუთრებით აშშ-ში, ბევრის თვალში ძირითადად მემარცხენე იდეოლოგიასა და პოლიტიკასთან ასოცირდება, რომლებიც ინდივიდუალურ თავისუფლებას ზღუდავენ და ბევრ საკითხში სახელმწიფოს აქტიურ და ხშირად უხეშ ჩარევას გულისხმობენ, ნაცვლად მისგან ინდივიდუალური თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფისა. ამდენად, თანამედროვე ლიბერალიზმისა და ლიბერალური იდეის არსი თვით დასავლურ დემოკრატიებშიც საკამათო გახდა. ეს დილემა თავისთავად აისახა ისეთ ქვეყნებზე, რომლებშიც სახელმწიფოს მართვის ლიბერალურ-დემოკრატიული მოდელის არჩევანი ჯერ არც ინსტიტუციურად და არც იდეოლოგიურად გამყარებულა, ხოლო მათზე დასავლეთის საპირწონე გავლენის მოპოვების მოსურნე ავტორიტარული რეჟიმები დასავლეთის ამ „სისუსტეს“ იყენებენ დემოკრატიისა და დასავლური ღირებულებების დისკრედიტაციისთვის.

გამრუდებული თუ დამახინჯებული სურათის დანერგვის მცდელობა საქართველოშიც შეინიშნება, სადაც რუსული აგრესიული და არცთუ წარუმატებელი პროპაგანდის შედეგად, ლიბერალიზმის იდეამ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში უარყოფითი და, ამით, ანტიდასავლური დატვირთვა შეიძინა. საქართველოში ლიბერალიზმის იდეების დისკრედიტაციას ახდენს ის დიდი თუ მცირე ორგანიზებული ჯგუფები რადიკალური მემარცხენე თუ ნაციონალისტური პლატფორმიდან, რომელთა წარმატებული საქმიანობის შედეგად ლიბერალიზმი, ხშირად, ანტიქართულ და ეროვნულ იდენტობასა და ტრადიციებთან შეუთავსებელ იდეოლოგიად წარმოჩნდება.

ამ კომპლექსურმა მოცემულობამ გვაფიქრებინა, რომ მუდმივი საჭიროებაა, განიმარტოს, რა არის რეალურად ლიბერალიზმი; რას ეფუძნება ის, რას წარმოადგენს მართვის ლიბერალურ – დემოკრატიული მოდელი; რამ შვა კლასიკური

ლიბერალიზმი; როგორ, როდის, რა ფორმითა და ვისი მეშვეობით შემოვიდა ის საქართველოში; რატომ ჰქონდა მის განვითარებას წყვეტა; რას ამბობდნენ ილია ჭავჭავაძე და სხვა განმანათლებლები ლიბერალიზმზე და რატომაა საჭირო გვესმოდეს, რა არის ლიბერალური დემოკრატია, როცა ვამბობთ, რომ გვინდა ან არ გვინდა იგი.

ნაშრომით „ლიბერალიზმი და საქართველო“ ვეცადეთ, შეგვევსო საზოგადოებაში ლიბერალიზთან მიმართებით არსებული ინფორმაციული დეფიციტი. ჩვენი მოკრძალებული სურვილი ასევე იყო გვეჩვენებინა, რომ კლასიკური, ილიასეული ლიბერალიზმი არა უკიდურესობების, ნაძალადევი პოლიტკორექტულობისა და კლიშეების მანქანა, არამედ იმ ფასეულობათა ერთობლიობაა, რომლებიც საფუძვლად დაედო დასავლურ ქვეყნებში დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნასა და კონსოლიდაციას, ასევე, თავისუფალი, ეკონომიკურად მდიდარი საზოგადოებებისა და სუვერენული სახელმწიფოების განვითარებას, როგორც მათი წარმატების განმსაზღვრელის ინდივიდუალური რწმენა.

ნინო კალანდაძე
ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა
და სამოქალაქო განათლების ცენტრის დირექტორი

შესავალი

ლიბერალიზმის საწყისებს ქრისტიანობასთან და ბერძნულ-რომაულ ცივილიზაციებთან მივყავართ. ამ პოლიტიკური იდეოლოგიის ფუძემდებლები ამოდიოდნენ მსჯელობიდან, რომ ყველა ადამიანს ღმერთის მიერ მინიჭებული თავისუფლება გააჩნია, რომლის ნებისმიერი ფორმით შეზღუდვა ბოროტებას წარმოადგენს. უკვე მრავალი ასწლეულია, რაც ლიბერალური იდეები სოციალურ-პოლიტიკური პროცესების განუყოფელი ნაწილია და მასზე უდიდეს გავლენას ახდენს. თავისუფალი სამყარო საუკუნეებია, რაც სახელმწიფოსა და საზოგადოების მოწყობის ოპტიმალურ მიდგომებზე მსჯელობს და სხვადასხვა იდეოლოგია ამ მხრივ განსხვავებულ გამოსავალს გვთავაზობს. სამწუხაროდ, არასახარბიელო გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო საქართველო მსგავსი პროცესებისგან იზოლირებული აღმოჩნდა. საქართველოში დასავლური იდეების შემოსვლა მეცხრამეტე საუკუნიდან იწყება. ამავე პერიოდში ფართოდ ვრცელდება ლიბერალიზმიც, რომელსაც შემდეგ სხვა იდეოლოგიების გავრცელებაც მოსდევს, იდეოლოგიური დებატები და საღი აზრის ძიება ევროპის მსგავსად ქართული რეალობისთვისაც დამახასიათებელი ხდება. აღნიშნულ პროცესს საბჭოთა რეჟიმის დამყარება ამუხრუჭებს, რომლის შემდეგაც მარქსიზმ-ლენი-

ნიზმი ერთადერთ და გაბატონებულ იდეოლოგიად ყალიბდებბა, საქართველოს პლურალისტური წარსული კი რეპრესიების გზით ქართველი ხალხის მეხსიერებიდან იშლება.

საბჭოთა კავშირის დაშლამ და დამოუკიდებლობის მოპოვებამ საქართველოს საკუთარი თავის ხელახლა აღმოჩენის შესაძლებლობა მისცა, ქვეყანას ჯანსაღი თვალით უნდა შეეხედა სოლომონ დოდაშვილის და შემდეგ ილია ჭავჭავაძისა და მათი თანამოაზრეების მოღვაწეობისთვის, მაგრამ ეს პროცესი დამოუკიდებლობიდან 30 წლის შემდეგაც კი ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. ლიბერალიზმი და ლიბერალობა რომელიც საქართველოში მე-19 საუკუნიდან გავრცელდა და რომლის მედროშეც ილია ჭავჭავაძე იყო, დღეს ხშირად სალანძღავ ეპითეტადაც კი გამოიყენება. საქართველოში ჯერაც ვერ ხერხდება ლიბერალიზმის ადეკვატური აღქმა და ის ანტიეროვნულობასთან, ანტიქრისტიანობასთან, ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლასთან და ე.წ. ლგბტ პროპაგანდასთან ასოცირდება, რის მიზეზებსაც კომუნისტური რეჟიმის 70 წლიანი მმართველობა, საბჭოთა მემკვიდრეობა და თანამედროვე ანტილიბერალური რუსული პროპაგანდა წარმოადგენს. საქართველოში არსებული მემარჯვენე ნაციონალისტური, ფსევდოლიბერალური და ლიბერტარიანული ჯგუფების რადიკალური იდეები ნოყიერ ნიადაგს ქმნის ლიბერალიზმის იდეის დისკრედიტაციისთვის. ლიბერალიზმზე კამათისას იშვიათად საუბრობენ ღვთით ბოძებულ თავისუფლებაზე, საკუთრების უფლებაზე, ადამიანის უფლებებზე და კანონის წინაშე თანასწორობაზე, რაც ლიბერალიზმის გამრუდებული აღქმის ერთ-ერთი მიზეზია.

მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი, რაც ლიბერალიზმის მიმართ მცდარ შეხედულებებს იწვევს, პოლიტიკური იდეოლოგიების, მათ შორის, ლიბერალიზმის შესახებ, აკადემიური

ნაშრომების დეფიციტია. ამიტომაც, წინამდებარე ნაშრომის მიზანს ამ მიმართულებით საერთო საქმეში საკუთარი მოკრძალებული წვლილის შეტანა წარმოადგენს.

ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიურ სფეროში აქტიურობა საკმარისი არ არის და პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო სექტორისა და მედიის საქმიანობაც სასიცოცხლოდ აუცილებელია. სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება და იდეოლოგიაზე დაფუძნებული პოლიტიკური პარტიები, მედია კი საკმარის დროს არ უთმობს მოცემული საკითხის გაშუქებას. იდეოლოგიზირებული პარტიების არსებობის შემთხვევაში, მათ შორის იდეოლოგიურ საკითხებზე დაწყებული ინტენსიური დებატები მოქალაქეთა ინფორმირებულობას გაზრდიდა. ამის საპირისპიროდ, დღეს ვაკვირდებით პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც ლიბერალური იდეების მიზანმიმართული დისკრედიტაციისა და პოპულიზმის ხარჯზე საკუთარი ვიწროპარტიული ინტერესების დაკმაყოფილებას ცდილობენ. ამ მხრივ, ქვეყანაში მდგომარეობა გამოსასწორებელია, რისი მიღწევაც ლიბერალიზმის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა იდეოლოგიის შესახებ, ფართო საზოგადოებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებითაა შესაძლებელი, რაც მსგავსი ტიპის პუბლიკაციას კიდევ უფრო აქტუალურს ხდის.

თანამედროვე ლიბერალურ-დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული სახელმწიფოები ადამიანს საცხოვრებლად კაცობრიობის ისტორიაში საუკეთესო გარემოს სთავაზობენ. ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების გაზიარება განვითარების მსურველი ქვეყნებისთვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს, ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ლიბერალიზმის შესახებ გავრცელე-

ბულ მითებსა და მცდარ შეხედულებებს ადეკვატური პასუხი გაეცეს და მოსახლეობის ინფორმირებულობის გასაზრდელად საჭირო ნაბიჯები გადაიდგას.

თავი I – რა არის ლიბერალიზმი?

ლიბერალიზმის ისტორიული გაგება

ლიბერალიზმი (ლათინური „liber“ – „თავისუფლება“)[1] ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობაა, რომლისთვისაც უმაღლეს ღირებულებას ინდივიდის უფლებები და პირადი თავისუფლება წარმოადგენს. გარდა თავისუფლებისა, ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპებია შემწყნარებლობა, საბაზრო ეკონომიკა, მეწარმეობის თავისუფლება, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, კანონის უზენაესობა, დემოკრატიული არჩევნები და ა.შ.[2] ლიბერალურმა იდეოლოგიამ, როგორც დომინანტურმა პოლიტიკურმა დოქტრინამ, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია თანამედროვე მსოფლიოს ისტორიაზე. დასავლური სამყაროს პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემა სწორედ ლიბერალურ ღირებულებებს დაეფუძნა.

ლიბერალიზმის პირველი ჩანასახი მე-13 საუკუნის ინგლისში გაჩნდა, როდესაც თავისუფლების დიდი ქარტიით (Magna Carta Libertatum) მონარქის უფლებები შეიზღუდა და პარლამენტარიზმის პირველი ნიშნები გამოიკვეთა.[3] ლიბე-

---

[1] Definition of Liber, WordReference Random House Learner's Dictionary of American English, 2021 - https://www.wordreference.com/definition/-liber- (მოძიების თარიღი 08.12.2020)

[2] Charvet, J & Nay, E.K. "Introduction: what is liberalism?", 2008, P. 1

[3] Adamson, B. "Magna Carta, Liberalism and Human Rights", 2015, PP. 380-382

რალიზმის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მე-14 საუკუნის ევროპაში დაწყებულმა რეფორმაციამ, რომელიც ადგილობრივი რელიგიური ორგანიზაციების მიერ რომის კათოლიკური ეკლესიისგან დისტანცირებასა და დამოუკიდებელი ეკლესიების ჩამოყალიბებას გულისხმობდა. ევროპულ რეფორმაციას საფუძველი ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა, ჯონ უიკლიფმა, ჩაუყარა (1320-1384). დროთა განმავლობაში, რეფორმაციული ტალღა კონტინენტურ ევროპაშიც გავრცელდა, სადაც მას სათავეში გერმანელი მღვდელი და თეოლოგი მარტინ ლუთერი (1483-1456) ჩაუდგა. ლუთერმა ქრისტიანული ჭეშმარიტების წყაროდ არა ეკლესია (როგორც ინსტიტუცია), არამედ ბიბლია გამოაცხადა. რეფორმაციის შედეგად კათოლიკურ საეკლესიო სისტემას ჩამოსცილდნენ ინგლისი, შოტლანდია, დანია, შვედეთი, ნორვეგია, ნიდერლანდები, ფინეთი, შვეიცარია, ნაწილობრივ გერმანია, ჩეხეთი, უნგრეთი და სხვა. ქვეყნებში, რომლებმაც რეფორმაცია განიცადეს, ეკლესიის გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მნიშვნელოვნად შემცირდა. სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებთან ერთად, რეფორმაციამ კულტურისა და მეცნიერების განვითარებასაც შეუწყო ხელი.[4]

ლიბერალური იდეების გავრცელებისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მე-14 საუკუნეში დაწყებული ჰუმანისტური მოძრაობა, რომლის ძირითადი მიზანი ინდივიდის მაქსიმალურად თავისუფალი და სამართლიანი განვითარება იყო. ჰუმანიზმისთვის ადამიანი უმაღლეს ღირებულებას წარმოადგენდა და აღიარებდა მის უფლებებს თავისუფლებაზე, თანასწორობასა და ბედნიერებაზე. ჰუმანისტური მოძღვრე-

[4] Becker, S.O, Pfaff, S, Rubin, J. “Causes and Consequences of the Protestant Reformation”, 2016, PP. 22-25

ბის თანახმად, ყველა რესურსი უნდა მიმართულიყო იქითკენ, რომ ადამიანის სიცოცხლე მაქსიმალურად კომფორტული და უსაფრთხო გამხდარიყო. ჰუმანიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს აღორძინების ხანის წამყვანმა მოაზროვნეებმა, მათ შორის ფრანჩესკო პეტრარკამ, დანტე ალიგიერიმ, ჯოვანი ბოკაჩომ, ლეონარდო და ვინჩიმ, ერაზმუს როტერდამელმა, ჯორდანო ბრუნომ, გალილეო გალილეიმ, რენე დეკარტმა, იოჰან კეპლერმა, ფრანსუა რაბლემ, ნიკოლაი კოპერნიკმა, უილიამ შექსპირმა, მიგელ დე სერვანტესმა, ფრენსის ბეკონმა, ისააკ ნიუტონმა, გოტფრიდ ლაიბნიცმა და სხვებმა. ჰუმანიზმის მოძღვრებამ და მისმა ძირითადმა პრინციპებმა (ინდივიდის თავისუფლება, თანასწორობა და ბედნიერება) კლასიკური ლიბერალიზმის დოქტრინის განვითარებას შეუწყო ხელი.[5]

კლასიკური ლიბერალიზმის ჩამოყალიბება

კლასიკური ლიბერალიზმის პირველი პრინციპების ჩამოყალიბება ფრანგი ფილოსოფოსის და მეცნიერის, რენე დეკარტის (1596-1650), სახელს უკავშირდება. დეკარტმა განავითარა რაციონალიზმის პრინციპი, რომელიც სინამდვილის შეცნობას განსჯითა და ფაქტების ანალიზის მეშვეობით გულისხმობს. რაციონალიზმის თეორიის მიხედვით, სამყაროს შეცნობის ერთადერთი საშუალება გონებაა. რაციონალიზმის თეორიის ფართოდ გავრცელებამ ევროპაში ბიძგი მისცა სამეცნიერო რევოლუციის დაწყებას.[6] მე-17 საუკუნი-

[5] Smith, M. "Humanism and its Impact on the Renaissance", 2015, P. 2

[6] Newman, L. "Descartes' Rationalist Epistemology", 2005, PP. 189-191

დან ევროპულმა სახელმწიფოებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს ისეთ დარგებში, როგორებიცაა მათემატიკა, მექანიკა, ასტრონომია, ნავიგაცია, პოლიტიკური მეცნიერებები და ა.შ. ევროპაში დაიწყო მანუფაქტურული მრეწველობის ფართომასშტაბიანი გავრცელება, ამერიკის კონტინენტის ათვისება, შეიქმნა დიფერენციალური აღრიცხვა, გამოიგონეს ტელესკოპი, მექანიკური გამომთვლელი მანქანები, ორთქლის მანქანა, სხვადასხვა ტიპის ჩარხები და დაზგები. ამრიგად, წინაპირობები შეიქმნა „დიდი ინდუსტრიული რევოლუციისთვის", რომელიც მე-18 საუკუნის შუა ხანებიდან დაიწყო.

ზემოხსენებულ მოვლენებთან ერთად, მე-18 საუკუნიდან ევროპაში იწყება აბსოლუტური მონარქიის რღვევის პროცესი. აბსოლუტური მონარქიები ღვთივკურთხეულად მიიჩნეოდა და მხარდაჭერილი იყო ორგანიზებული საეკლესიო იერარქიის მიერ. ეკლესია აღიარებდა „მეფეთა საღვთო უფლებებს" და საფუძველს უმაგრებდა ტრადიციული მმართველობის არსებულ სისტემას. ლიბერალური იდეების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული წვლილი მე-17 საუკუნის ინგლისელმა მოაზროვნეებმა თომას ჰობსმა (1588-1679) და ჯონ ლოკმა (1632-1704) შეიტანეს. ჰობსმა საკუთარ ნაშრომში „ლევიათანი" „საზოგადოებრივი ხელშეკრულების" კონცეფცია განავითარა, რომელიც კოლექტიური სიკეთეების (მშვიდობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფა) მისაღებად, ადამიანების მიერ სახელმწიფოსთვის საკუთარი ბუნებითი უფლებების ნაწილის ნებაყოფლობით დათმობას გულისხმობდა. ჰობსთან, ამრიგად, სახელმწიფო წარმოჩენილია როგორც იძულების ლეგიტიმური უფლების მქონე ინსტიტუცია („ლევიათანი") თუმცა, ამასთან ჰობსი მიიჩნევდა, რომ აბსოლუტური მონარქია მმართველობის საუკეთესო ფორმა იყო. ჰობსი მხარს უჭერდა სეკულარიზმს და თვლიდა, რომ

სახელმწიფოს და ეკლესიას ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უნდა ეარსება.[7]

პოლიტიკურ მეცნიერებებში კლასიკური ლიბერალური მოძღვრების ფუძემდებლად აღიარებული ჯონ ლოკი თვლიდა, რომ ინდივიდს დაბადებიდან გააჩნია სიცოცხლის, თავისუფლებისა და კერძო საკუთრების უფლება. ძალაუფლების ლეგიტიმურობის საკითხში ლოკი იმეორებს ჰობსის პრინციპს, რომლითაც საზოგადოებრივი ხელშეკრულებით იქმნება სახელმწიფო და მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ადამიანის ბუნებითი უფლებების დაცვაა. პირველად სწორედ ლოკი ავითარებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს შორის ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, რაც ასევე ლიბერალური დემოკრატიის საბაზისო პრინციპია. ჰობსისა და ლოკის ნაშრომებმა საფუძველი ჩაუყარა კლასიკური ლიბერალიზმის „მინიმალისტური სახელმწიფოს“ მოდელს, რომლის მიხედვით, სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციაა, იყოს „თამაშის წესების დამდგენი“ და დაიცვას ადამიანის სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლება.[8]

რეფორმაციისა და ჰუმანიზმის ეპოქას ევროპაში მალევე მოჰყვა „განმანათლებლობის“ ხანა. მე-18 საუკუნიდან რაციონალიზმისა და ემპირიზმის საფუძველზე განვითარებული სამეცნიერო და ეკონომიკური წინსვლის ფონზე ადამიანთა დიდი მასა კიდევ უფრო დაშორდა რელიგიურ ორგანიზაციებს. ევროპის ქვეყნების მცხოვრებთა დიდი ნაწილის ძირითად მიზნად იქცა არა „ხსნა“, არამედ ამქვეყნიური ბედნიერება, რომლის არსს სხეულის, გონებისა და გრძნობების ჰარმონიული ურთიერთობა წარმოადგენდა. ამ

[7] Hobbes, T. “Leviathan”, 1651, PP. 438-440

[8] Locke, J. “Second Treatise of Government”, 1689/90, PP. 4-7

პერიოდში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ბეჭდვითი ტექნოლოგიების განვითარების საფუძველზე სწრაფად ვრცელდებოდა და მასობრივი ხდებოდა ინფორმაცია და განათლება. განმანათლებლობის ეპოქა დაეფუძნა ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა ტოლერანტობა, თავისუფლება და თანასწორობა.

კლასიკური ლიბერალიზმის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის განმანათლებლობის ხანის ფრანგ მოაზროვნეებს, შარლ ლუი დე მონტესკიესა (1689-1755) და ვოლტერს (1694-1778). მონტესკიეს შეფასებით, პიროვნება არის კანონის საფუძველი და საზოგადოებრივი ინსტიტუტები მხოლოდ იმისთვის არსებობენ, რომ ინდივიდი რეალური უფლებებითა და თავისუფლებებით აღჭურვონ.[9] ვოლტერისთვის რაციონალიზმი და თავისუფლება უმნიშვნელოვანესი ცნებებია, თუმცა, ის არ იზიარებდა თანასწორობის იდეას. ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპების, ტოლერანტობისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის აუცილებლობა, ვოლტერმა ცნობილი ფრაზით გამოხატა: „მძაგს, რასაც ამბობ, მაგრამ საფლავის კარამდე დავიცავ შენს უფლებას, გამოხატო შენი სათქმელი“.

ლიბერალიზმის ეკონომიკური საფუძვლების ჩამოყალიბება შოტლანდიელი ეკონომისტისა და მოაზროვნის ადამ სმითის (1723-1790) სახელს უკავშირდება, რომელმაც ნაშრომში – „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზთა შესახებ“ – ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს ჩაურევლობის პრინციპი განავითარა. მანვე გამოთქვა მოსაზრება, რომ გარკვეულ პირობებში თავისუფალ ბაზარს შეუძლია თვითრეგულირება და უფრო მეტი წარმოების მიღწევა, ვიდრე ცენტრალიზებულ, მართვად ბაზარს. თავისუფალი საბაზ-

[9] Montesquie, S.L. “The Spirit of the Law”, 1752, PP. 18-22

რო ეკონომიკის თვითრეგულაციის უნარს სმიტმა „უჩინარი ხელი“ უწოდა. [10]

ლიბერალიზმის დამკვიდრებას ხელი შეუწყო საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ (1789-1799) და 1848-1849 წლების ევროპულმა სახალხო რევოლუციებმა. საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ აბსოლუტური მონარქია რესპუბლიკური წყობით შეცვალა. რევოლუციის ძირითად მოწოდებად იქცა ლოზუნგი – „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“. 1789 წელს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ადამიანისა და მოქალაქეთა უფლებების დეკლარაცია, რომელიც ნასაზრდოები იყო განმანათლებლობის სულისკვეთებით და ამკვიდრებდა ადამიანის ბუნებითი უფლებების პატივისცემას, ხელისუფლების დაყოფის, საკუთრების ხელშეუხებლობისა და საყოველთაო საარჩევნო უფლების (მამაკაცებისთვის) პრინციპებს.[11] რაც შეეხება 1848-1849 წლების სახალხო რევოლუციებს („ხალხთა გაზაფხული“), მას ძირითადად ეროვნულ-გამათავისუფლებელი ხასიათი ჰქონდა. რევოლუციის შემოქმედთა უმრავლესობა ლიბერალურ რეფორმებსა და დემოკრატიზაციას მოითხოვდა. მართალია, რევოლუციების ტალღა წარუმატებლად დასრულდა, თუმცა, მან დიდი როლი ითამაშა ევროპაში ლიბერალიზმის იდეების შემდგომ გავრცელებაში.[12]

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიოში კლასიკური ლიბერალიზმის კრიზისის ნიშნები გაჩდა, რომელიც გამოიწვია თავისუფალი ბაზრის ფონზე პრივილეგირებული ფენის გაჩენამ და, შესაბამისად, გაზრდილმა სოციალურმა უთანასწორობამ. ლიბერალური იდეების იდეების

---

[10] Smith, A. “An Inquiry Into the Nature and Causes of Wealth of Nations”, 1776, PP.73-75

[11] Dickey, L. “The French Revolution and Liberalism”, 1992, PP. 111-115

[12] Revolutions of 1848, Encyclopedia Britannica, 2021 - https://www.britannica.com/event/Revolutions-of-1848 (მოძიების თარიღი 08.12.2020)

შემდგომ გავრცელებას ზიანი მიაყენა ევროპაში განვითარებულმა პირველმა მსოფლიო ომმა (1914-1918) და მისმა შემდგომმა მოვლენებმა, მათ შორის დიდმა დეპრესიამ, იტალიასა და გერმანიაში ფაშიზმის, ხოლო რუსეთში კომუნიზმის გავრცელებამ.

ამ ფონზე ევროპაში გაძლიერდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა, რომელიც სახელმწიფოს მიერ სოციალური ვალდებულებების საკუთარ თავზე ფართოდ აღებას ქადაგებდა. დროთა განმავლობაში, ლიბერალურ ელიტებში გაჩნდა „სოციალური ლიბერალების“ ჯგუფი, რომლებმაც კლასიკური ლიბერალიზმის ზოგიერთი დებულების ცვლილების საფუძველზე მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად სახელმწიფოს როლის გაძლიერება მოითხოვეს.

ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპების სოციალისტურ თეორიასთან შერწყმით შეიქმნა ახალი იდეოლოგია („სოციალური ლიბერალიზმი“/„თანამედროვე ლიბერალიზმი“). თანამედროვე ლიბერალიზმის მომხრეები თვლიან, რომ სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს გაჭირვებული მოსახლეობის საარსებო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.[13] ლიბერალიზმის ახალი ფორმების მიმდევრებმა გააცნობიერეს, რომ საფრთხეების ასაცილებლად, რომლებიც სახელმწიფოს როლის ზრდას შეიძლება მოჰყვეს, საჭიროა ბაზრის ფუნქციონირების კორექტირება. დღის წესრიგში დადგა დოვლათის რედისტრიბუციის მექანიზმის შემუშავების საკითხი სოციალური სერვისების შექმნისა და შეჭირვებულთა უფლებების დაცვის ორგანიზაციების შექმნის სახით.[14] თანამედროვე ლიბერალიზმის მხარდამჭერები

[13] Mill, J.S. “On Liberty”, 1859, P. 52

[14] გოგიაშვილი, ო. „პოლიტიკური იდეოლოგიები“, 2012, გვ. 60

ემხრობიან ე.წ. „კეინზიანურ“ მიდგომას, რომლის მიხედვით სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკაში შეუძლია, დადებითი როლი ითამაშოს ბიზნესისა და წარმოების ციკლის განვითარების კუთხით. კეინზიანური ეკონომიკური კურსი პრაქტიკულად განხორციელდა კიდეც ამერიკის შეერთებულ შტატებში „დიდი დეპრესიის“ პერიოდში.[15]

ნეოლიბერალიზმი – კეინზის პოზიციას დაუპირისპირდა ავსტრიელი ეკონომისტი, ფრიდრიხ ჰაიეკი (1899-1992), რომელმაც ნაშრომში – „გზა მონობისაკენ“ განავითარა მოსაზრება, რომ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას ტოტალიტარიზმისკენ მივყავართ. სოციალიზმის ჰუმანური იდეები თანასწორობისა და სამართლიანობის შესახებ შასაძლოა გახდეს ტოტალიტარული რეჟიმების შექმნის იდეური წყარო, თუ დაცული არ იქნება ლიბერალური ღირებულებები. ამ მოსაზრების დასტურად ჰაიეკს მოჰყავდა გერმანული ნაციზმისა და რუსული ბოლშევიზმის მაგალითი. ჰაიეკის შეფასებით, საბჭოთა კავშირში იყო თანასწორობა, მაგრამ ეს იყო უმრავლესობის „თანასწორობა სიღატაკეში“ და „თანასწორობა უუფლებობაში.“[16]

ფრიდრიხ ჰაიეკის მსგავსად, მინიმალისტური სახელმწიფოს მოდელს ემხრობოდა ამერიკელი ეკონომისტი, მილტონ ფრიდმანიც. 1970-იანი წლების ეკონომიკურმა სტაგნაციამ კლასიკური ლიბერალიზმის ეკონომიკური მიდგომები კვლავაც აქტუალური გახადა. ჰაიეკისა და ფრიდმანის ნააზრევზე დაფუძნებული ეკონომიკური მიმდინარეობა ნეოლიბერალიზმის სახელითაა ცნობილი. ნეოლიბერალიზმი, კლასიკური ლიბერალიზმის მსგავსად, მინარქისტული სახელმწიფოს მოდელის მომხრეა და ეკონომიკაში სახელმწიფოს ინტერ-

[15] Jahan, S., Mahmud, A.S., Papageorgiou, C. “What is Keynesian Economics”, 2014, PP. 1-2

[16] Hayek, F. “The Road to Serfdom”, 1944, PP. 10-15

ვენციას ეწინააღმდეგება. 1980-იანი წლებიდან ნეოლიბერალიზმი დასავლურ სამყაროში დომინანტურ იდეოლოგიად ყალიბდება, რაც დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში ჩამოყალიბებულ „ტეტჩერიზმსა“ და „რეიგანიზმში“ გამოიხატა.

ლიბერალიზმის გავრცელება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ლიბერალიზმის იდეებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩრდილოეთ ამერიკის ევროპული კოლონიების ისტორიული მომავლის განსაზღვრაში.

1776 წელს ამერიკაში თომას ჯეფერსონის მეთაურობით „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ დაიწერა. დეკლარაციის მიხედვით, ყველა ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლება. დამოუკიდებლობის დეკლარაციას მოჰყვა ბრიტანეთის იმპერიის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ომი, რომელშიც აჯანყებულმა შტატებმა გაიმარჯვეს.[17]

აშშ-ში ლიბერალიზმი ევროპისგან განსხვავებულად განვითარდა. იქიდან გამომდინარე, რომ აშშ-ს არ ჰქონდა აბსოლუტური მონარქიის გამოცდილება და თავისუფალი იყო რომის კათოლიკური ეკლესიის გავლენისგან, ლიბერალური იდეების გავრცელებისთვის აქ ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა. დროთა განმავლობაში ლიბერალიზმი ამერიკის პოლიტიკური სისტემის ორგანულ ნაწილად იქცა. ლიბერალიზმმა ფართოდ გაიდგა ფესვები როგორც ამერიკის კონსტიტუციურ

[17] The Declaration of Independence, 1776

სტრუქტურებში, ისე პოლიტიკურ კულტურასა და მართლმსაჯულებაში.

ლიბერალური დემოკრატია

განმანათლებლობის ხანაში, ლიბერალიზმი და დემოკრატია გარკვეულწილად ერთმანეთთან დაპირისპირებული ცნებები იყო. ლიბერალებისთვის საზოგადოების საფუძველი იყო ინდივიდი, რომელიც ფლობდა საკუთრებას და მის წინაშე არ იდგა არჩევანი თვითგადარჩენასა და სამოქალაქო უფლებების დაცვას შორის. ლიბერალების აზრით, მცირესმქონეთა დიქტატურას შეეძლო საფრთხე შეექმნა საკუთრებისთვის და შესაბამისად თავისუფლებისთვის.

ლიბერალიზმისა და დემოკრატიის მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობის შესახებ პირველად ისაუბრა ალექსის დე ტოკვილმა ნაშრომში „დემოკრატია ამერიკაში“ (1835), სადაც აღნიშნულია, რომ ლიბერალურ დემოკრატიაში თანაბარი შესაძლებლობების პრინციპი მოქმედებს და მოქალაქეებისთვის ყველაზე დიდ საფრთხეს ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს ჩარევა წარმოადგენს.[18]

ჯონ სტიუარტ მილის შეფასებით, ისტორიამ დაგვანახა, რომ დემოკრატიამ შესაძლოა უმრავლესობის ტირანიის სახე მიიღოს. უმრავლესობის მმართველობა ნიშნავს მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვანი და აქტიური ნაწილის ნებას. მაშასადამე, უმრავლესობამ შესაძლოა მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი საზოგადოებისგან გარიყოს, ამიტომ ამის წინააღმდეგ თავდაცვის საშუალებები ისევეა საჭირო,

[18] Tocqueville, A.D. “Democracy in America”, 1835, Chapter XV

როგორც ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ნებისმიერი სხვა სახის წინააღმდეგ. ამ მოსაზრებას ეთანხმებოდა გრემი, რომელიც თვლიდა, რომ დემოკრატია შესაძლოა იქცეს ტოტალიტარიზმისა და ტირანიის ინსტრუმენტად, თუ ის ლიბერალური ღირებულებებით არაა დაზღვეული.[19]

ლიბერალური დემოკრატიის არსი შესაძლოა მოკლედ ასე ჩამოყალიბდეს: დემოკრატია ახორციელებს უმრავლესობის ნებას, ხოლო ლიბერალიზმი იცავს უმცირესობების უფლებებს. დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლებების ძალაუფლების ლიმიტირება ლიბერალიზმის მთავარი გამოწვევაა. ქვეყნები, სადაც არაა დაცული ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა, სახელმწიფოს ჩაურევლობა რელიგიის საკითხებში, ადამიანის უფლებები, თავისუფლება და სხვა ლიბერალური ღირებულებები, „დასავლური“ სამყაროს ნაწილად ვერ ჩაითვლება. ქვეყნები, სადაც ლიბერალიზმის დეფიციტია, შორს არიან თავისუფლებისა და სამართლიანობისგან.

ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა წარმომადგენლობით დემოკრატიაზეა დაფუძნებული, სადაც უმრავლესობის ნება და არჩეული ხელისუფლების მოქმედებები უმცირესობებისა და ცალკეული მოქალაქეების უფლებების დაცვის ვალდებულებითაა შეზღუდული.[20] ლიბერალურ-დემოკრატიული სისტემებისთვის დამახასიათებელია ისეთი პრინციპები, როგორებიცაა საბაზრო ეკონომიკა, კერძო საკუთრება, საყოველთაო და თანასწორი არჩევნები, პოლიტიკური პლურალიზმი, ტოლერანტობა, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და კანონის უზენაესობა.

---

[19] Graham, G. “Liberalism and Democracy”, 1992, PP.13-17

[20] Liberal Democracy, Encyclopedia Britannica, 2021 – https://www.britannica.com/topic/liberal-democracy (მოძიების თარიღი 09.12.2020)

დღეს ლიბერალური დემოკრატია დომინანტური პოლიტიკური სისტემაა და მოიცავს ქვეყნების ჯგუფს, რომლებშიც მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები ყველაზე უკეთაა დაცული.

თავი II – ლიბერალიზმი საქართველოში

მე-17 და მე-18 საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამეფო-სამთავროებისთვის გზა ჩაკეტილი იყო, შესაბამისად, საქართველო ევროპაში მიმდინარე სამეცნიერო და სოციალური პროგრესისგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. ამ იზოლაციას ხელს უწყობდა ის ფაქტი, რომ საქართველო სავაჭრო-საკომუნიკაციო საშუალებად ვერ იყენებდა ზღვას. ლიბერალური იდეები ჩაისახა და გავრცელდა იმ სახელმწიფოებში, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ზღვასთან და ზღვაოსნობასთან. ზღვისგან ზურგით ყოფნა კი საქართველოში ლიბერალიზმის გავრცელებისთვის ერთერთ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა. შედარებით მარტივი რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების ანექსირების შემდეგ გახდა, თუმცა, ამავე პერიოდში სამეცნიერო და კულტურული თვალსაზრისით რუსეთი ნამდვილად არ იყო ევროპის მოწინავე ქვეყნების რიგში. მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერია, ევროპასთან შედარებით, ტექნოლოგიურად ჩამორჩენილ და ბატონყმობაზე დაშენებულ ფეოდალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

ნაპოლეონური ომების დროს დასავლეთ ევროპაში სამხედრო სამსახურის გამო წასულმა რუსეთის არისტოკრატიის ნაწილმა აღმოაჩინა და გაიაზრა, რომ მათი ქვეყანა დანარჩენ ცივილიზებულ სამყაროს განვითარებით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა. ამ პერიოდიდან რუსეთის იმპერიაში თანდათან შემოდის და ვრცელდება ლიბერალური იდეები, იქმნება საი-

დუმლო ორგანიზაციები, რომელთა მიზანიც რუსეთში ლიბერალური გარდაქმნების განხორციელება – კერძოდ, ბატონყმობის გაუქმება და სახელმწიფო მმართველობის ფორმის კონსტიტუცურ მონარქიად, ან რესპუბლიკად შეცვლაა[21]. ამ დროს ქართლ-კახეთის სამეფო უკვე გაუქმებულია და რუსეთის იმპერია დასავლეთ საქართველოსაც ეტაპობრივად იპყრობს. ქართველი თავად-აზნაურობის ნაწილი რუსეთში გადასახლდა, სადაც ზოგიერთმა მათგანმა თვალშისაცემი კარიერაც გაიკეთა, პეტერბურგის უნივერსიტეტში კი ქართველმა სტუდენტებმა დაიწყეს განათლების მიღება. შესაბამისად, რუსეთში ახლად შემოსულ ლიბერალურ იდეებს ქართველებიც ეცნობიან და ის თანდათან საქართველომდეც აღწევს.

ლიბერალური იდეები საქართველოში პირველად რუსეთის ლიბერალურ ელიტასთან დაახლოებული ქართველების ძალისხმევით შემოვიდა. ამ მხრივ პირველი ყველაზე მნიშვნელოვანი მოღვაწე სოლომონ დოდაშვილია, რომლის შეხედულებებზეც გარკვეული გავლენა დეკაბრისტებმა[22] იქონიეს. გარდა ამისა, დეკაბრისტების აჯანყების დამარცხების შემდეგ, რუსეთის დედაქალაქიდან გადასახლებული პირების ნაწილი კავკასიაშიც აღმოჩნდა, 1826-1829 წლებში აქ 65 დეკაბრისტი ოფიცერი და 2 ათასი ჯარისკაცი გადმოასახლეს, რომელთა დიდი ნაწილი ოსმალეთისა და სპარსეთის იმპერიების წინააღმდეგ ომებში ჩაერთო.

სოლომონ დოდაშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. 1827 წლისთვის მის მიერ შექმნილი ნაშრომი „ლოგიკა“ საკმაოდ რეზონანსული გამოდგა. პავლე ინგოროყვას მიხედვით, როგორც

[21] Poole, R.A. “Nineteenth-Century Russian Liberalism: Ideals and Realities”, 2011, PP. 159-160

[22] Gibson J.R. “The Decembrists”, 2016, PP. 1-2

ერთ-ერთ პირველ კანტიანელს, სოლომონ დოდაშვილს რუსეთის ფილოსოფიის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი ეკუთვნის.[23]

უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ სოლომონ დოდაშვილი საქართველოში დაბრუნდა და პუბლიცისტურ და პედაგოგიურ საქმიანობას შეუდგა. ამავდროულად, ის რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ საქართველოში დაწყებული შეთქმულების იდეური ხელმძღვანელი იყო. შეთქმულთა ნაწილი საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის დამყარების მომხრე იყო, მეორე ნაწილი და თავად დოდაშვილი კი საპარლამენტო რესპუბლიკის იდეას უჭერდა მხარს.[24] შეთქმულების მონაწილეები ევროპული ქვეყნების მხარდაჭერის მოპოვებასაც ცდილობდნენ, ამის მაგალითია სოლომონ რაზმაძის თეირანში გაგზავნა, სადაც მას ბრიტანეთის წარმომადგენლობასთან უნდა დაემყარებინა კავშირები.

შეთქმულების მთავარმა ორგანიზაციამ მიიღო გადაწყვეტილება – შეექმნათ საქართველოში კონსტიტუციური შეზღუდული მონარქია. ხელისუფლების კანონმდებელი ორგანო უნდა ყოფილიყო დეპუტატთა პალატა – ეროვნული სეიმი, შექმნილი არჩევითი წესით. შეთქმულების ხელმძღვანელთა რადიკალობა იმდენად შორს მიდიოდა ამ მხრივ, რომ ისინი შესაძლოდ თვლიდნენ, არჩევითი წესები დაეცვათ თვით რეგულარულ ჯარშიც კი.[25]

სოლომონ დოდაშვილს განსხვავებული პოზიციები გააჩნდა, ის ევროპული განმანათლებლობის იდეებს ეყრდნობოდა

[23] ინგოროყვა, პ. ნიკოლოზ ბარათაშვილი (ნარკვევი), წიგნში ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, თბილისი, 1968, გვ. 34-35

[24] Jones, S.F. " Russian Imperial Administration and the Georgian Nobility: The Georgian Conspiracy of 1832", 1987, P. 3

[25] ინგოროყვა, პ. ნიკოლოზ ბარათაშვილი (ნარკვევი), წიგნში ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, თბილისი, 1968, გვ. 31;

და მიზნად საქართველოს რესპუბლიკად გარდაქმნა ჰქონდა დასახული. ცნობილია 1832 წლის შეთქმულების მონაწილის ვახტანგ ორბელიანის ჩვენება, სადაც საქართველოს პოლიტიკური მოწყობის შესახებ სოლომონ დოდაშვილისეული ხედვა ჩანს – „... მე მოვისმინე დოდაევისგან სიტყვები ... მე საქართველოს თავისუფლებას ვუსურვებ, მაგრამ არა იმისთვის, რომ რომელიმე ბაგრატიონი გამეფდეს, არამედ იმისთვის, რომ საქართველო იქცეს რესპუბლიკად.“[26]

დოდაშვილის ლიბერალობაზე მიანიშნებს თანასწოროობის იდეისადმი მისი რწმენაც, მისთვის ადამიანების წოდების მიხედვით შეფასება მიუღებელია. „არა გვარითა იქების კაცი, არამედ გონებითა და მოქმედებითა ხელოვნად“. „ ... განუჭვრეტლობამან ... მიიყვანეს მამული ჩვენი ესე ვითარ ხარისხამდე დამდაბლებისა, რომელ დამვიწყებელი მოქალაქებრისა თავისუფლებისა ...“, – აცხადებდა სოლომონ დოდაშვილი.

საინტერესოა სოლომონ დოდაშვილის მოსაზრებები მსოფლიოში საქართველოს ადგილთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით, დოდაშვილი ქართულ კულტურას ევროპული კულტურის ნაწილად მიიჩნევდა და საქართველოს ევროპეიზაციას მშობლიურ წიაღში დაბრუნებად აღიქვამდა. დოდაშვილისეული საქართველოს მომავლის ხედვა ევროპულია. ამას ადასტურებს ამონარიდები მისი ნაწერებიდან: „... არა ... ბედნიერებისათვის ვჰმუშაკობ, არამედ სიყვარულისთვის მამულისა, რათა ევროპამან ოდესმე ჰცნოს ივერია საშუალებითა წერილთა სარწმუნოთა“.

1832 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთა შეთქმულება კრახით დამთავრდა. შეთქმულების

[26] მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისთვის, სოლომონ დოდაშვილის წერილები, 1825 – 1832. ს. ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, 1944, ნაკვეთი II, თბილისი, გვ. 48

ჩაშლის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ მასშტაბური რეპრესიები გაატარა. საინტერესოა, რომ 1832 წლის აჯანყების მონაწილე 145 ადამიანი საქართველოდან გადაასახლეს. მათ შორის: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი, სოლომონ რაზმაძე, ალექსანდრე ორბელიანი და სხვანი. რამდენიმე წლის შემდეგ გადასახლებულები შეიწყალეს და ისინი საქართველოში დაბრუნდნენ, ნაწილმა რუსეთის იმპერიის სამსახურში კარგი კარიერაც გაიკეთა.[27] დაბრუნების უფლება არ მისცეს მხოლოდ სოლომონ დოდაშვილს, რომელიც ქალაქ ვიატკაში 31 წლის ასაკში გარდაიცვალა. საქართველოში ის მხოლოდ 1994 წელს გადმოასვენეს და მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს.

1832 წლის შეთქმულების მარცხმა საქართველოში ერთგვარი კრიზისი გამოიწვია და რუსეთის იმპერიის მიმართ წინააღმდეგობა გარკვეული პერიოდით ჩააცხრო. მსგავსი რეალობა ქვეყანაში 1861 წლამდე – ილია ჭავჭავაძის პეტერბურგიდან დაბრუნებამდე გაგრძელდა. ილიამ საქართველოში ჩამოსვლის პირველივე დღეებიდან თავის გარშემო ახალი თაობა შემოიკრიბა. ამ დროს მისი თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა იმ საზოგადოებრივ დაჯგუფებას, რომელიც „პირველი დასის“ სახელითაა ცნობილი.[28] 1863 წელს ილიას მიერ დაარსებული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ფლაგმანად იქცა. ილია მუდმივად იბრძოდა სალიტერატურო ენის გამარტივებისა და ხალხურ ენასთან დაახლოებისათვის, რასაც მოსახ-

[27] Tsertsvadze, M. “Participants of the Conspiracy of 1832 as presented in the epistolary heritage by N. Baratashvili”, 2015, PP. 1-8

[28] Chkartishvili, M. & Kadagishvili, S. “Georgian Nationalism in the Nineteenth Century: Values, Ideals, Symbols”, 2011, P. 430

ლეობის უმრავლესობათან კომუნიკაციის თვალსაზრისით უდიდესი პოზიტიური გავლენა ჰქონდა.

1864 წელს საქართველოში ლიბერალიზმის გავრცელებისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა და იმპერატორ ალექსანდრე მეორის 1861 წლის მანიფესტის შესაბამისად ბატონყმობა გაუქმდა. ამიერიდან მოსახლეობის უმრავლესობა სამოქალაქო უფლებებს იურიდიულად იძენდა. ილია, როგორც ლიბერალური პრინციპების ერთგული, რადიკალური და სრულყოფილი რეფორმის მომხრე იყო, რომელიც მხოლოდ პირად თავისუფლებას კი არა, გლეხებს ეკონომიკურ და სოციალურ დამოუკიდებლობას მოუტანდა. ის გლეხების მიწიანად გათავისუფლების მომხრე იყო.[29] ილიას ამ პოზიციას თავადაზნაურთა კრებაზე ქართველ თავადთა ნაწილის მხრიდან მძაფრი დაპირისპირება მოჰყვა.

მიუხედავად იმისა, რომ თავადი იყო, ილია ჭავჭავაძე კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ხალხის წოდებებად დაყოფასა და რომელიმე წოდებისთვის განსაკუთრებული პრივილეგიების მინიჭებას. სტატიაში „წოდებათა თანასწორობა“ (1888) ის წერდა – „... ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად დიდპატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ჰსცდილობს ცხოვრების გზა გაიკვალოს ...[30] ქვეყანაზედ მარტო იმ ერს გაუძლია, მარტო იმ ერს გამოუტანია თავი ათას გვარ განსაცდელისგან, მარტო იმ ერს წარუმატნია და გაძლიერებულა, რომელსაც თავის დროზედ შეუტყვია და მიუგნია, რომ ერთის რომელსამე წოდების წინ წაწევა არაფრის მაქნისია,

[29] ინგოროყვა, პ. ილია ჭავჭავაძე (ნარკვევი), წიგნში ილია ჭავჭავაძე, თბილისი, 1962

[30] ჭავჭავაძე, ი. „წოდებათა თანასწორობა“, 1888, გვ. 2

თუ დანარჩენი ერიც წინ არ წაწეულა, პირიქით, ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლია.“[31]

1860-იანი წლებიდან რუსეთში ფეხმოკიდებული გლეხური რევოლუციის „ნაროდნიკული“ იდეები, მათი ბრძოლის ტაქტიკა, რაც შემდგომში ინდივიდუალურ ტერორსაც შეიცავდა,[32] მიუღებელი იყო ილიას პოლიტიკური მსოფლმხედველობისათვის. ილიას არ შეეძლო მხარი დაეჭირა სოფლად კლასობრივი დაპირისპირების გამღვივებელი იდეოლოგიისთვის, რადგან ნებისმიერი ნიშნით საზოგადოების სხვადასხვა ფენების გაყოფა ქართულ სინამდვილეში შეაფერხებდა ერთიანი ეროვნული მიზნის მიღწევას და საერთო ნიადაგის საფუძველს შეარყევდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ილიას პოზიცია დასავლეთ ევროპასთან მიმართებაში, მისი აზრით, აუცილებელია „გახსნა განიერის, ფართო გზისა შავი ზღვის შუამავლობით ევროპის გავლენისათვის და მის გამაცხოველებელ ცივილიზაციის დაწაფვისათვის.“ მას ასევე ევროპული და ლიბერალური ხედვა ჰქონდა ქალთა თანასწორობის და „უკანონოდ შობილთა“ უფლებების იმ დროს აქტუალურ საკითხებზეც, რომელსაც რამდენიმე პუბლიკაცია მიუძღვნა.[33] მისივე სიტყვებით, შორს არ არის ის დრო, როცა დედათა საქმე თავისას გაიტანს და ეს მთელი ნახევარი სქესი კაცობრიობისა მიწვეულ იქნება წუთისოფლის სუფრაზედ თავისის კუთვნილის ადგილის დასაჭერად.“[34]

---

[31] ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. (1951 – 1961) რედ. პ. ინგოროყვა, ტომი 8, საზოგადოებრივი ცხოვრების დღიური, 1957, თბილისი, გვ. 312-313

[32] Pedler, A. “Going to the People. The Russian Narodniki in 1874-1875, 1927, PP. 130-136

[33] ჭავჭავაძე, ი. „უკანონოდ შობილთა უფლება“, 1898, გვ. 1

[34] ჭავჭავაძე, ი. „დედათა საქმე“, 1888, გვ. 2

ილია ჭავჭავაძეს მხედველობიდან არ გამორჩენია ლიბერალიზმისა და კონსერვატიზმის შედარება. ილიას აზრით, ლიბერალიზმი მხოლოდ ისეთ ძველ წესებს ებრძვის, რომელიც განვითარებას უშლის ხელს და თავის მხრივ, „ჭეშმარიტი კონსერვატორი“ კი მხოლოდ ისეთ ტრადიციებს იცავს, რომელიც თანამედროვეობისთვის ჯერაც გამოსადეგი და საჭიროა.

მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება კერძო საკუთრების საკითხისადმი, რომელიც ლიბერალური იდეოლოგიის ერთ-ერთი მთავარი ინტერესის საგანია. ამ მხრივ, ილია სრულად იზიარებს დასავლელი ლიბერალების აზრს და მიაჩნია, რომ კერძო საკუთრების, ისევე როგორც ადამიანის უსაფრთხოების დაცვა სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა. „მკვიდრთა უშიშართყოფა სიცოცხლისა და ქონების მხრივ, ერთი უდიდესი, თუ არა უპირველესი, მოვალეობაა სახელმწიფოში. უამისოდ არც წინსვლა ერისა, არც წარმატება რაშიმე არ არის. ამიტომაც ბევრმა რამ სხვამ უშიშარყოფას თავისი უპირატესობა და ადგილი უნდა დაუთმოს,“[35] წერდა ილია.

ამდენად, ილია ჭავჭავაძე საქართველოში ლიბერალური იდეების პირველი ფართოდ გამავრცელებელია, რომელიც ადამიანის თავისუფლების, კერძო საკუთრების, კანონის წინაშე თანასწორობისა და სახელმწიფო მოწყობის შესახებ დასავლური ლიბერალური იდეოლოგიის შეხედულებებს იზიარებს. აღნიშნული შეხედულებების გავრცელებას ილია სხვადასხვა გზებით ცდილობდა, იქნებოდა ეს პერიოდული ბეჭდური პრესის გამოყენება, თუ უმსხვილესი არასამთავრობო ორგანიზაციის – „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ – ხელმძღვანელობა.

[35] ჭავჭავაძე, ი. „ცხოვრება და კანონი“, 1877-1881

ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების მიერ გაწეული ფასდაუდებელი სამსახურის შედეგია საერთო ქართული ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბება და ლიბერალური ნაციონალიზმის პოპულარიზაცია, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობის მივიწყებულ იდეას ხელახლა შთაბერა სული.

საქართველოში ლიბერალური იდეების გავრცელებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ვაჟა-ფშაველამ (1861-1915). ვაჟა-ფშაველა პუბლიცისტურ წერილში „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ აღნიშნავს, რომ ისტორიის მთავარი სუბიექტები თავისუფლებისთვის მებრძოლი ერები არიან. „ყველა ერი თავისუფლებას ეძებს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა.“[36] ამავე სტატიაში ის ავითარებს მოსაზრებას, რომ კოსმოპოლიტიზმის ჭეშმარიტი არსი საკუთარი ერის სიყვარულსა და ამავდროულად სხვა ერების პატივისცემაში მდგომარეობს. „კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, ნუ გძულს სხვა ერები და ეცადე, რომ შენი სამშობლო გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს.“[37] ვაჟა-ფშაველა ყურადღებას ამახვილებდა ნაციონალიზმის დამახინჯებულ აღქმაზე და იმედოვნებდა, რომ ქართველი ერი შეძლებდა რადიკალიზმის თავიდან არიდებას. ის წერდა – „ისტორიული წარსული ბუნება ქართველობისა გვაიმედებს, რომ ეს „ნაციონალიზმი“ მუდამ იქნება ჯანსაღი და არასდროს შოვინიზმად, ფანატიზმად არ გადაიქცევა.“[38] ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ერთი მხრივ, ინდივიდის დაპირისპირებას

[36] ვაჟა-ფშაველა, „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, 1905, გვ. 2
[37] იქვე
[38] ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. 9, 1964, გვ. 291

დრომოჭმულ ტრადიციებთან, ხოლო მეორე მხრივ, ადამიანის თავისუფლებისა და თანასწორობის იდეის უზენაესობას.

დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო 1918 წელს აღდგა. პირველმა რესპუბლიკამ იმ დროისთვის უპრეცედენტოდ პროგრესული რეფორმები გაატარა, როგორიცაა: ქალებისთვის ხმის მიცემის უფლება და რელიგიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისგან გამიჯვნა, რაც ლიბერალურ-დემოკრატიული თვალსაზრისით საქართველოს პირველ რესპუბლიკას მისი თანამედროვე მსოფლიოს ერთერთ ყველაზე მოწინავე სახელმწიფოდ აქცევდა. მართალია საქართველოს მთავრობას სოციალ-დემოკრატები ქმნიდნენ, მაგრამ მათ მიერ გატარებული პოლიტიკით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკა უდაოდ ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფო იყო. ამ პერიოდის დემოკრატიზაციის ხარისხზე მეტყველებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წელს მიღებული კონსტიტუცია, რომელშიც ლიბერალიზმის და დემოკრატიის ბევრი დებულება იყო ასახული, მათ შორის, მოქალაქეთა კანონის წინაშე თანასწორობა, წოდებრივი სხვაობის მოსპობა, გენდერული თანასწორობა, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა და სხვ. განსაკუთრებით საინტერესოა კანონი საყოველთაო და თანასწორი არჩევნების შესახებ.

სამწუხაროდ, დამოუკიდებლობამ მცირე ხანს გასტანა და 1921 წლის 25 თებერვალს რუსული ოკუპაციის შედეგად დამყარებულმა ბოლშევიკურმა რეჟიმმა საქართველოში ბევრი რამ შეცვალა. მათ შორის ყველაზე დამაზიანებელი ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის გაუფერულება და 1918-21 წლების წარმატებული ისტორიის ტაბუირება იყო. თუმცა, მიუხედავად კომუნისტური რეჟიმის რეპრესიული მცდელობებისა, ილიას იდეებს არ დაუკარგავთ აქტუალობა, მაგრამ სიმართ-

ლეა, რომ მისი ხელახლა აღმოჩენის, გადააზრებისა და ფართო მასებისთვის მიწოდების პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს და მისი წარმატებით დასრულების შემთხვევაში ილიას კვლავ შეუძლია განვითარებული, დასავლური და ლიბერალურ-დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს აშენებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა.

თავი III – ლიბერალიზმის აღქმა თანამედროვე საქართველოში

საბჭოთა კავშირის რღვევამ და დამოუკიდებლობის მოპოვებამ საქართველოს შესაძლებლობა მისცა, რომ 70-წლიანი იზოლაცია დაესრულებინა და მისთვის ბუნებრივ დასავლურ ღირებულებათა სისტემაში დაბრუნებულიყო. ამ პერიოდიდან ქართულ რეალობაში ხელახლა შემოდის ლიბერალიზმი, რომელიც საბჭოთა კავშირში პრაქტიკულად არ არსებობდა, ხოლო კომუნისტური პარტია დასავლური ლიბერალური სამყაროს დისკრედიტაციით იყო დაკავებული. როგორც ჩანს, ამ მხრივ კომუნისტური მემკვიდრეობა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ დამოუკიდებლობის სამი ათწლეულის შემდეგაც კი საქართველოში ლიბერალიზმის შესახებ მცდარი შეხედულებებია გავრცელებული, გარკვეული ჯგუფები კი მიზანმიმართულად ეწევიან ლიბერალური იდეების დისკრედიტაციას. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე საქართველოში ლიბერალიზმი არასწორი გაგებით აღიქმება, ეს განსაკუთრებით ნეოფაშისტური, ქსენოფობიური და ჰომოფობიური ჯგუფების შემთხვევაში ითქმის, თუმცა, ლიბერალიზმის შესახებ მცდარი მოსაზრებები მემარცხენე ორიენტაციის მქონე ორგანიზაციების მიერაც ვრცელდება. საქართველოში ლიბერალიზმის შესახებ გავრცელებული არასწორი აღქმების იდენტიფიცირებისთვის სასურველია, რომ ცალ-ცალკე განვიხილოთ ულტრანაციონალისტური და ულტრამემარცხენე ნარატივები.

ულტრანაციონალისტურ ჯგუფებში ნეოფაშისტური, ეთნონაციონალისტური, ქსენოფობიური და ჰომოფობიური ორგანიზაციები და აქტივისტები მოიაზრებიან, რომლებიც ლიბერალიზმთან დაკავშირებით მცდარი შეხედულებებისა და მითების გავრცელებით არიან დაკავებულნი. მათი ძირითადი გზავნილები ლიბერალიზმს წარმოაჩენს როგორც ანტიქართულ, ანტიქრისტიანულ, ანტიტრადიციულ, „ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტის“ წინააღმდეგ და „ლგბტ პროპაგანდისკენ“ მიმართულ იდეოლოგიას. ლიბერალიზმის მცდარად გაგებაზე მიანიშნებს ქართულ რადიკალურ ჯგუფებში გაჩენილი ტერმინი „ლიბერასტი,“ რომელიც ლიბერალისა და არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანის შეუარცხმყოფელი ეპითეტის კომბინაციაა. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ ლიბერალიზმი და ირიბად დასავლური ორიენტაცია, საზოგადოების დიდ ნაწილში არა ამ იდეოლოგიის მთავარ არსთან, არამედ ე.წ. ლგბტ პროპაგანდასთან და ანტი-ეროვნულობასთან ასოცირდება.

აღნიშნული ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებით არაერთი ისეთი კვლევა ჩატარებულა, რომელიც ანტილიბერალურ და ანტიდასავლურ ნარატივებს დეტალურად გამოავლენს. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის მიერ 2020 წელს გამოქვეყნებულ კვლევაში „ანტილიბერალი ნაციონალისტების გამოწვევა საქართველოსთვის,“ საუბარია, რომ ანტილიბერალურად განწყობილი მსგავსი ჯგუფები შემდეგი სახის მესიჯებს ავრცელებენ: 1. დასავლეთიდან შემოსული ლიბერალური ღირებულებები მცდარია და საქართველოსთვის საფრთხეს წარმოადგენს, რადგანაც ქართულ კულტურას, ტრადიციებს, ინსტიტუტებს და მორალს ძირს უთხრის და სექსუალური უმცირესობების პოპულარიზაციას ეწევა, 2. ლიბერალური ძალები თავს ესხმიან საქართველოს მართლმადიდებლურ

ეკლესიას, რომელიც ქართული იდენტობისა და კულტურის მთავარი საფუძველია. [39]

ლიბერალიზმის დამახინჯებულ აღქმას ვხდებით დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის 2020 წლის კვლევაშიც, „ულტრამემარჯვენე და ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაგება და მათთან ბრძოლა." აღნიშნული კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად აღმოჩნდა, რომ რესპოდენტები ლიბერალიზმს ნაციონალიზმის, ოჯახისა და საზოგადოების მტრად წარმოაჩენენ, რომლის საბოლოო შედეგიც სახელმწიფოსა და ერის სუიციდია. ლიბერალიზმი მიჩნეულია, როგორც სექსუალური უმცირესობების ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.[40]

კვლევაში – „ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის და ნაციონალიზმის გააზრება და მის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში" – ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ანტილიბერალური ექსტრემისტული ჯგუფები ლიბერალიზმს ერის გადაშენებასთან, პედოფილიასთან, გარყვნილებასთან და მართლმადიდებლობის გმობასთან აიგივებენ.[41]

ამდენად, ულტრანაციონალისტური რადიკალური ჯგუფების შეხედულებების მიხედვით ლიბერალიზმზე მსჯელო-

---

[39] Nodia, G., Anti-liberal nativist challenge to Georgia: how big it is and what can we do about it, Caucasus Institute for Peace and Democracy (CIPDD), 2020 - http://www.cipdd.org/upload/files/antiliberaluri-eng.pdf?fbclid=IwAR2iWAa_46Wu2Ku4utOb2th1pe9r3tRaiy1luJPxMt4EBsdit7SqPbDjiNs (მოძიების თარიღი 18.11.2020)

[40] Understanding and Combating Far-Right Extremism and Ultra-Nationalism in Georgia, Democracy Research Institute (DRI), 2020 - http://www.democracyresearch.org/files/47dri%20report%20far%20right%20eng.pdf?fbclid=IwAR3OP0bPBw7k3Ph9e7po1Y4i17DxN_sEaaFxSCq_GzSD5V2S9o2IlmugJRY (მოძიების თარიღი 18.11.2020)

[41] მურღულია, ქ., „ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის და ნაციონალიზმის გააზრება და მის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში", დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI), 2019 - http://www.democracyresearch.org/files/4DRI%20-%204%20tvis%20angarishi.pdf (მოძიების თარიღი 18.11.2020)

ბისას აქცენტი იმ საკითხებზე კეთდება, რაც ამ იდეოლოგიის საფუძვლებს ნამდვილად არ წარმოადგენს, მსგავსი სახის დეზინფორმაცია კი ჭეშმარიტი ლიბერალური იდეების დისკრედიტადაცას იწვევს.

ულტრანაციონალისტური ჯგუფებისგან განსხვავებით ქართველი რადიკალი მემარცხეენების საქმიანობასთან დაკავშირებით კვლევები ნაკლებად მოიძებნება, თუმცა, მემარცხენე გამოცემებისა და ინტერნეტ ბლოგების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია იმ მითების დადგენა, რომელიც ამ სპექტრში ლიბერალიზმთან დაკავშირებით არსებობს. რადიკალური ნაციონალისტური და ჰომოფობიური ჯგუფებისგან განსხვავებით, ქართველი მემარცხენე ჯგუფების მიერ ლიბერალიზმის ახსნა ნაწილობრივ დასავლურ მემარცხენე წრეებში დამყარებულ შეხედულებებს ეფუძნება. აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავს ჯგუფებს მიზანში ძირითადად ნეოლიბერალიზმი ჰყავთ ამოღებული. საქართველოში არსებული ულტრამემარცხენე ჯგუფების აზრით, ნეოლიბერალური მსოფლიო წესრიგი ამცირებს ერი-სახელმწიფოების როლს და ზრდის მულტიეროვნული კორპორაციებისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენას. სწორედ ზემოხსენებული ფაქტორებიდან გამომდინარე ულტრამემარცხენე ჯგუფებისთვის ნეოლიბერალიზმი აბსოლუტურ ბოროტებასთან ასოცირდება.

საქართველოში მოქმედი ულტრა მემარცხენე ინტერნეტ ბლოგი Politicano ლიბერალიზმისა და დასავლური სამყაროს დისკრედიტაციის მცდელობით აქტიურადაა დაკავებული. ამ ბლოგზე გამოქვეყნებული სტატიების მიხედვით, ლიბერალიზმი ანტიდემოკრატიული იდეოლოგიაა, ნეოლიბერალიზმი კი – თანამედროვე დემოკრატიის მტერი. ავტორს არგუმენტად მოჰყავს, რომ ლიბერალური აზროვნების ფუძემდებლები, რომლებიც XVII-XVIII საუკუნეებში ცხოვრობდნენ, ენი-

ნააღმდეგებოდნენ ქალებისთვის ხმის მიცემის უფლების მინიჭებას და ამავდროულად ხმის მიცემის პროცესში ქონებრივი ცენზის მომხრეები იყვნენ. ბლოგი ცდილობს წარმოაჩინოს, რომ ლიბერალიზმი მხოლოდ მდიდრების ინტერესებზე მორგებული დოქტრინაა, რომლის მთავარი მიზანიც უმცირესობის უმრავლესობისგან დაცვაა და ის ღარიბების უფლებებს უგულვებელყოფს.[42] ამდენად, აღნიშნული გვერდი ლიბერალიზმის მარქსისტული და ყავლგასული შეხედულების გავრცელებას ცდილობს, რომელიც ლიბერალიზმს, როგორც გაბატონებული კლასის იდეოლოგიას განიხილავს.

რამდენიმე სტატიაში ნეოლიბერალიზმისა და დემოკრატიის შეუსაბამობაზე საუბრობს გამოცემა European.ge, რომლის მიხედვითაც, ნეოლიბერალიზმი წარმომადგენლობით დემოკრატიას ძირს უთხრის და საუკუნეების განმავლობაში „ბრძოლით მოპოვებული პოლიტიკური უფლებებისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის კორპორატიულ კაპიტალზე და მსხვილი ინვესტორების ინტერესებისთვის დაქვემდებარებას“ იწვევს.[43]

ერთ სტატიაში ლიბერალიზმი საერთოდ ტოტალიტარიზმთანაა გაიგივებული და ავითარებს აზრს, თითქოს ლიბერალები თანამშრომლობაზე დაფუძნებული საზოგადოების წინააღმდეგნი არიან, ხოლო ტერმინები „გადასახადის გადამხდელი,“ „კანონმორჩილი მოქალაქე,“ „ამომრჩეველი,“ ნეოლიბერალიზმის მიერაა შემოთავაზებული და მისი მთავარი

---

[42] Tag Archives: ლიბერალიზმი, Politicano - https://politicano01.wordpress.com/tag/%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98/ (მოძიების თარიღი 19.11.2020)

[43] ბერაია, ა. „როგორ ხდება ნეოლიბერალიზმის კონსტიტუციურ დონეზე დაკანონება“, 2017 – http://european.ge/rogor-khdeba-neoliberalizmis-konstituciurad-dakanoneba/# * (მოძიების თარიღი 19.11.2020)

მიზანი მოსახლეობის ინდოქტრინაცია და არამეინსტრიმული შეხედულებების დემონიზებაა.

საქართველოში აქტიური ფემინისტური ჯგუფების ნაწილის აღქმით კი ლიბერალური ღირებულებები პატრიარქალურია, ის ალტრუიზმის, სოლიდარობისა და ემოციისგან სრულიად დაცლილია და მხოლოდ პირად სარგებელსა და კონკურენციაზეა ორიენტირებული.[44]

აღსანიშნავია, ლიბერალიზმზე ქართველი მემარცხენეების შეხედულებათა ნაწილი პირდაპირაა გადმოკოპირებული დასავლური მემარცხენე წრეებიდან, თუმცა, ქართული და დასავლური რეალობა ერთმანეთისგან სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების წესით განსხვავდება, ამდენად, ლიბერალიზმის დასავლეთიდან გადმოღებული მემარცხენე კრიტიკა ქართულ რეალობას არ შეესაბამება.

ლიბერალიზმის გამრუდებული აღქმის მიზეზები

საქართველოში ლიბერალიზმის გამრუდებული აღქმა საათავეს გარკვეულწილად საბჭოთა პერიოდიდან იღებს. წითელი არმიის მიერ საქართველოს ანექსირების შემდეგ, ქვეყანაში დამყარებულმა ბოლშევიკურმა რეჟიმმა ლიბერალური იდეები სრულად გაანადგურა. უკვე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი კომუნისტური მემკვიდრეობა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მან ქართულ სახელმწიფოს განვითარების გზაზე მრავალი ბარიერი შეუქმნა, მათ შორის, დაბრკოლებები გაჩნდა ქვეყანაში ლიბერალიზმის ხელახლა გავრცელებასთან დაკავშირებითაც. რუსეთის ხელისუ-

[44] ფემინისტური დიალოგი, კავშირის საფარი, 2017

ფლებაში ვლადიმირ პუტინის მოსვლის შემდეგ კი კრემლის ანტილიბერალური და ანტიდასავლური პროპაგანდა განსაკუთრებით გააქტიურდა, რამაც ლიბერალიზმს როგორც საქართველოში, ისე გლობალური მასშტაბით დამატებითი გამოწვევა შეუქმნა.

საბჭოთა პერიოდი

1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკური რუსეთის წითელმა არმიამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაამხო და ქვეყანა მომდევნო 70 წლით ცივილიზებულ და თავისუფალ სამყაროს მოწყვიტა. საქართველოსთვის ჯერ კიდევ 1921 წელს ჩამოშვებულმა „რკინის ფარდამ“ ქვეყანაში ლიბერალური იდეების შემდგომი გავრცელება შეუძლებელი გახადა, ამასთანავე, საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა XIX-XX საუკუნეებში მოღვაწე ქართველი ლიბერალებისა და მათი საქმიანობის გაუფერულებას, რევიზიასა და იდეოლოგიურ მითვისებას შეუდგა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსირებიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე კომუნისტური რეჟიმის მიერ გატარებულმა ძალადობრივმა პოლიტიკამ ლიბერალიზმი, რომელსაც საქართველოში უკვე მრავალი ათწლეულის ისტორია გააჩნდა, ქართული რეალობიდან მთლიანად ამოძირკვა. სახელმწიფოებრიობის 70-წლიანმა წყვეტამ, ემიგრაციამ, საბჭოთა რეპრესიებმა, მასობრივმა პროპაგანდამ, ცენზურამ და მოსახლეობის ინდოქტრინაციამ საბჭოთა საქართველოში ლიბერალიზმისთვის ოდნავი ადგილიც არ დატოვა.

დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდი (1918-1921), იმ დროისთვის საკმაოდ წარმატებული დემოკრატიული ექს-

პერიმენტის მიუხედავად, საკმარისი არ აღმოჩნდა მყარი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოსაყალიბებლად, რაც 5 ძირითად ფაქტორს მოიცავს: 1. სტაბილური პოლიტიკური ელიტის ჩამოყალიბება, რომელსაც ქვეყნის სამართავად საჭირო პოლიტიკური და ტექნიკური კომპეტენცია ექნება; 2. სტაბილური სახელმწიფო დოქტრინის ჩამოყალიბება; 3. სახელმწიფო რესურსების მობილიზაცია; 4. სახელმწიფოს განვითარების გრძელვადიანი პროგრამის შემუშავება; 5. ადეკვატური სახელმწიფო მოწყობის მოდელის შექმნა.[45] შედარებისთვის, საბჭოთა კავშირმა ბალტიის სახელმწიფოების ოკუპაცია 1940 წელს მოახდინა. სახელმწიფოებრიობის შედარებით ხანგრძლივმა ტრადიციამ (1918-დან 1940 წლამდე ისინი დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ) ბალტიის ერებს მეტად სტაბილური სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბების შესაძლებლობა მისცა, რამაც სსრკ-ს დანგრევის შემდგომ ამ ქვეყნებს ლიბერალურ დემოკრატიულ მოდელზე გადასვლა მნიშვნელოვნად გაუმარტივა.[46] მათგან განსხვავებით, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც, თანამედროვე სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი გამოცდილება არ ჰქონდათ, ამიტომ საბჭოთა სისტემიდან ლიბერალურ დემოკრატიაზე ტრანზიციის პროცესი მათთვის რთულად წარიმართა.

გარდა ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი წყვეტისა, შვიდი ათწლეულის მანძილზე საბჭოთა კავშირის პერიფერიაში მდებარე საქართველო საერთაშორისო იზოლაციაში იმყოფებოდა და დანარჩენ მსოფლიოს მოწყვეტილი იყო. საბჭო-

---

[45] Huseynov, R., Baltic States are no longer ex-Soviet, 2017 - https://modern-diplomacy.eu/2017/01/20/baltic-states-are-no-longer-ex-soviet/ (მოძიების თარიღი 21.11.2020)

[46] Egorov, B., How could Soviet citizens overcome the Iron Curtain during the Cold War?, 2017 – https://www.rbth.com/history/326931-how-soviet-citizens-curtain (მოძიების თარიღი 21.11.2020)

თა სისტემას უკიდურესი ჩაკეტილობა ახასიათებდა, ამიტომ მოქალაქეებს, იშვიათი შემთხვევების გამოკლებით, მხოლოდ „მოკავშირე სახელმწიფოების“ ტერიტორიაზე შეეძლოთ გადაადგილება.[47] ზემოხსენებული რკინის ფარდის არსებობამ განაპირობა რეალობა, რომელშიც საბჭოთა პერიფერიაში მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქეებმა არაფერი იცოდნენ დასავლურ სამყაროში მიმდინარე პროცესების შესახებ.

1921 წლის შემდეგ მსოფლიო განვითარებას განაგრძობდა, საქართველოს კი ამ პროცესში არათუ მონაწილეობის, არამედ მასზე დაკვირვების შესაძლებლობაც კი არ გააჩნდა. 70 წლის მანძილზე დასავლეთში ფორმირდებოდა ახალი იდეები და ახლდებოდა ძველები, „დიდი დეპრესიის“ შედეგად ლიბერალური ეკონომიკური იდეები მემარცხენე ქეინზიანიზმმა გადაწონა, მეორე მსოფლიო ომის შედეგად დანგრეული გერმანიის ხელახლა ასაშენებლად კი, პირიქით, ეკონომიკური ლიბერალიზაციის კურსი აიღეს. 1970-იანი წლების კრიზისმა ქეინზიანიზმის მარცხი აშკარა გახადა და მარგარეტ ტეტჩერისა და რონალდ რეიგანის ლიდერობით ნეოლიბერალური ეკონომიკური სკოლის დომინაცია დაიწყო. დასავლეთში ყალიბდებოდა სამოქალაქო მოძრაობები, იქმნებოდა ადამიანის უფლებებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოება, თავისუფალი სამყარო ბევრს მსჯელობდა, კამათობდა და ცდილობდა ადამიანისთვის მაქსიმალურად სამართლიანი და კომფორტული გარემოს ფორმირებას. გეოგრაფიულმა იზოლაციამ საბჭოთა მოქალაქეებში ინფორმაციული ვაკუუმის გაჩენა განაპირობა, რასაც საბჭოთა პროპაგანდა მოქალაქეებში ანტიდასავლური და ანტილიბერალური განწყობების გასაღვივებლად ეფექტურად იყენებდა. ზე-

[47] https://www.rbth.com/history/326931-how-soviet-citizens-curtain (მოძიების თარიღი 21.11.2020)

მოხსენებულმა ფაქტორებმა, უკვე დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ხელი შეუწყო საქართველოში ლიბერალიზმის დამახინჯებულ აღქმას და შესაბამისად, მნიშვნელოვნად შეაფერხა ქვეყნის სწრაფი ტრანზიცია ლიბერალურ დემოკრატიაზე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იძულებით გასაბჭოების შემდეგ ქართველ ინტელექტუალთა ნაწილს ფიზიკურად გადარჩენისთვის ქვეყნის დატოვება მოუწია. დამოუკიდებლობის დაკარგვამ, 1924 წლის აჯანყების წარუმატებლობამ და საბჭოთა რეპრესიებმა უამრავი ადამიანი აიძულა, თავშესაფარი საზღვარგარეთ ეძებნა. მათ შორის იყვნენ მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრები, პოლიტიკური პარტიების ლიდერები და მათი წევრები, ქართველი ოფიცრები, ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ ომის მონაწილეები, ხელოვანები, მეცნიერები, ამასთანავე ქვეყანაში უკან დაბრუნება ვეღარ შეძლეს 1918-21 წლებში მოღვაწე ქართველმა დიპლომატებმა, სტუდენტებმა და ინტელიგენციის იმ ნაწილმა, რომელიც 1921 წლისთვის საზღვარგარეთ იმყოფებოდა. მსგავსი მასშტაბის ინტელექტუალური რესურსის გადინებამ საქართველო საბჭოთა რეჟიმის მიმართ გაცილებით მოწყვლადი გახადა, რამაც კრემლს საკუთარი პროპაგანდისა და მოსახლეობის ინდოქტრინაციისთვის ნოყიერი ნიადაგი შეუმზადა.

მიუხედავად ემიგრაციის ასეთი ტალღისა, ქვეყანაში მაინც დარჩა ინტელექტუალური რესურსი, რომელსაც უკვე ბოლშევიკთა რეპრესიული მანქანა გაუსწორდა. ოკუპაციის შემდეგ საქართველოში მასობრივი დაპატიმრებების, გადასახლებებისა და დახვრეტების ტალღა დაიწყო, რომელმაც მრავალი ქართველი პატრიოტისა და მოაზროვნის სიცოცხლე შეიწირა.

საქართველოს ინტელექტუალურ რესურსს მძიმე დარტყმა მიაყენა 1937-38 წლების რეპრესიებმაც. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ამ პერიოდის ტერორის მთავარი მიზანი კომუნისტური პარტიის სტალინის მოწინააღმდეგეებისგან გაწმენდა იყო, მან ქართველი მწერლები, ხელოვანები და პროფესორ-მასწავლებლები შეიწირა. საბოლოო ჯამში, 1921 წლის შემდეგ ქვეყანაში დაწყებულმა ემიგრაციამ და რეპრესიების ტალღებმა საქართველო რადიკალურად შეცვალა. ქვეყანა, სადაც ლიბერალიზმი XIX საუკუნიდან ვრცელდებოდა, საბჭოთა ხელისუფლების ანტიჰუმანური პოლიტიკის შედეგად, როგორებიცაა: მასობრივი დახვრეტები, გადასახლებები, დაპატიმრებები, გადაიქცა ბელადის კულტის მეხოტბე მოკავშირე რესპუბლიკად, რომლისთვისაც იოსებ სტალინის პიროვნება ეროვნული იდენტობის ნაწილი გახდა. ამაზე მიანიშნებს 1956 წლის მოვლენები, როდესაც ხრუშჩოვის მიერ დაწყებულ დესტალინიზაციის პოლიტიკას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქეების გარკვეული ნაწილი მკვეთრად უარყოფითად შეხვდა.

1920-იანი წლებიდან, საბჭოთა კავშირის სათავეში იოსებ სტალინის მოსვლის შემდეგ საბჭოთა სკოლებისა და განათლების სისტემის ფუნდამენტური იდეოლოგიზირება დაიწყო. კრემლი 1920-იანი წლებიდან მოყოლებული ცდილობდა, შეექმნა უკიდურესად ცენტრალიზებული საგანამანათლებლო სისტემა, რომელიც დაეფუძნებოდა მარქსისტულ პრინციპებს და საბჭოთა მოქალაქეებს კომუნისტური იდეალებით აღზრდიდა.[48] ზემოხსენებული მიზნის მისაღწევად შეიქმნა სტანდარტიზებული სასწავლო პროგრამები, სახელმძღ-

[48] სტალინიზმი საბჭოთა სკოლებში და სკოლის მოსწავლეების საქმე, 2019, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ვანელოები და მკაცრად განისაზღვრა მოსწავლეების ყოფა-ქცევის წესები. შედეგად, საბჭოთა განათლების სისტემა გარდაიქმნა უკიდურესად პოლიტიზირებულ ინსტიტუტად, რომელიც აქტიურად ეწეოდა კომუნიზმის პროპაგანდას.[49] მოსწავლეების იდეოლოგიური ინდოქტრინაცია საბჭოთა განათლების სისტემის განუყოფელი ნაწილი იყო.[50] სკოლებში საბჭოთა მოსწავლეებს დაწყებითი კლასებიდან ასწავლიდნენ, რომ დასავლური სამყარო დაფუძნებულია კაპიტალისტურ-ლიბერალურ მსოფლიო წესრიგზე, რომელიც მხოლოდ ბურჟუაზიის (საბჭოთა აღქმით, გაბატონებული კლასი, რომელიც ფლობს წარმოების საშუალებებს და ეწევა დაქირავებულთა შრომით ექსპლუატაციას) ინტერესებს ემსახურება. საბჭოთა პროპაგანდა აქტიურად ავრცელებდა ანტიდასავლურ მითებსა და ნარატივებს, რომლის მიზანს სსრკ-ის მოქალაქეებში დასავლეთის პოლიტიკური ინსტიტუტებისა და ცხოვრების წესის დისკრედიტაცია წარმოადგენდა.[51] სსრკ-ის შემადგენლობაში ყოფნის 70 წლის მანძილზე საბჭოთა იდეოლოგიური ინდოქტრინაციის მსხვერპლი საქართველოს მოქალაქეების რამდენიმე თაობა გახდა.

საბჭოთა განათლების სისტემა მოსწავლეებს ქართველი ლიბერალების მოღვაწეობის შესახებაც განსხვავებულ ინფორმაციას აწვდიდა. მკაცრი ცენზურის პირობებში ილია ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველასა და მათი თანამოაზრეების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღება შეუძლებელი იყო, მათი ნაშრომების და შემოქმედების კრიტიკულად გააზრებაზე საუბარი საერთოდ ზედმეტია. საბჭოთა კავშირ-

[49] სტალინიზმი საბჭოთა სკოლებში და სკოლის მოსწავლეების საქმე, 2019, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

[50] Ross, L.W. “Some Aspects of Soviet Education”, 1960, P. 543

[51] “Soviet Youth Indoctrination”, 1975, PP. 29-31, Air Force Institute of Technology

მა ქართველი ლიბერალები მიისაკუთრა და საქართველოს მათი მსოფლმხედველობის საკუთარი ვარიანტი შესთავაზა, რომელიც ვიწრო კლასობრივი თვალთახედვიდან გამომდინარეობდა. საბჭოთა სკოლა ქართველ მოსწავლეებს წლების განმავლობაში უნერგავდა აზრს, რომ ილია ჭავჭავაძის მთავარი სათქმელი მხოლოდ მჩაგვრელი ბატონ-ყმური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლით შემოიფარგლებოდა. ამიტომაც საბჭოთა სასწავლო პროგრამებში ხვდებოდა პოემა „კაკო ყაჩაღი," მაგრამ ვერსად აღმოაჩენდით ილიას, რომელიც „ფრიტრედერობაზე", თავისუფლებაზე, კანონის უზენაესობაზე, ადამიანის უფლებებზე, საკუთრების დაცვაზე და თანასწორობაზე საუბრობდა.[52]

სტალინისტური პერიოდის საბჭოთა კავშირისთვის რეპრესიებთან ერთად დამახასიათებელია პიროვნების კულტის ჩამოყალიბება. ინდოქტრინაციის ამ ფორმის მიხედვით საბჭოთა პროპაგანდა სტალინს მარქსთან, ენგელსთან და ლენინთან ერთად წარმოაჩენდა, როგორც უდიდეს მარქსისტ თეორეტიკოსსა და რევოლუციონერს. სტალინის შესახებ შეითხზა უამრავი ლეგენდა და მითი, ჩამოყალიბდა შეხედულება, რომ ის ყველაზე ბრძენი ადამიანი და ხალხის მხსნელი იყო.[53] პიროვნების კულტის ჩამოყალიბება საბჭოთა კავშირის ისტორიის პირველივე ეტაპებიდან იწყება. თავდაპირველად პროპაგანდა ვლადიმირ ლენინის სასარგებლოდ მუშაობდა და მისი პიროვნების იდეალიზაციას ისახავდა მიზნად, ლენინის გარდაცვალების შემდეგ კი საბჭოთა პროპაგანდა საკუთარ თავზე სტალინმა მოირგო და მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნების კულტი შექმნა, რომლის გავლენები საქართველოში დღესაც კი იგრძნობა.

---

[52] ჭავჭავაძე, ი. "სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა", 1887, გვ. 2-3

[53] The Personality Cult of Stalin in Soviet Posters, 1929–1953, Pisch, A, 2016

ზემოჩამოთვლილმა ფაქტორებმა უდიდესი გავლენა იქონია საქართველოზე. მოსახლეობის ინდოქტრინაციის პოლიტიკისა და ბელადის კულტის პროპაგანდამ საქართველო რადიკალურად შეცვალა, ქვეყანაში ლიბერალური იდეებს არსებობის ყველანაირი საფუძველი საბჭოთა რეპრესიულმა მანქანამ მოსპო, ინტენსიურმა პროპაგანდამ და ტვინების გამორეცხვის პოლიტიკამ კი ხალხში უკიდურესად არალიბერალური შეხედულებების ჩამოყალიბება განაპირობა. 1956 წელს ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი მზად იყო, რომ დესტალინიზაციისა და ტოტალიტარული მარწუხების შემსუბუქების გამო საბჭოთა ხელისუფლებას დაპირისპირებოდა და ამისთვის საკუთარი სიცოცხლეც კი გაერისკა.

პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობა

საქართველოში ლიბერალიზმის დამახინჯებული აღქმის ერთ-ერთი მიზეზი მძიმე საბჭოთა მემკვიდრეობა აღმოჩნდა. სსრკ მეოცე საუკუნის კლასიკური ტოტალიტალური სახელმწიფო იყო, რომელიც ებრძოდა დასავლურ სახელმწიფო მოწყობას, ინსტიტუციებსა და კულტურას, ასევე საკუთარ მოქალაქეებში პროპაგანდისტული მანქანის მეშვეობით ცდილობდა ანტიდასავლური და ანტილიბერალური გზავნილების გავრცელებას, რამაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე გადამწყვეტი გავლენა იქონია. „ეთნიკური ნაციონალიზმი, საზოგადოების არასაკმარისი სოციოეკონომიკური განვითარება, ვიწრო ინტერესები, კლიენტელიზმი, დემოკრატიული ტრადიციის არარსებობა, პრობლემები სტრატეგიულ დაგეგმარებაში,

კორუფცია, ავტორიტარიზმისადმი მიდრეკილება, სუსტი სამოქალაქო საზოგადოება, გარე აქტორების დესტრუქციული გავლენა – ეს ყველაფერი საბჭოთა მავნე მემკვიდრეობის შედეგია".[54] სტივენ ჯონსის მიხედვით, „საბჭოთა მემკვიდრეობა, როგორი ბუნდოვანი, გამოგონილი და დამახინჯებულიც არ უნდა იყოს, მაინც არსებობს და უფრო მეტიც, ის მყარად არის ჩაშენებული საქართველოს აწმყოში. ამ მემკვიდრეობის გააზრება ძალზედ მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ავხსნათ ქართული დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტე. ის კავშირები, რომლებიც არსებობს არაკვალიფიციურ ინსტიტუციონალიზაციასა და „ქარიზმატულ" ლიდერებს შორის, სუსტ პარტიებსა და ძლიერ პრეზიდენტებს შორის, მყიფე სამოქალაქო საზოგადოებასა და მალულად მოქმედ ბიუროკრატიულ აპარატს შორის, და ბოლოს, სახელმწიფოს უუნარობაც, რომ ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია მოახდინოს, უკავშირდება საბჭოთა წარსულს."[55]

საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკები ძალაუფლების მკაცრ ვერტიკალს ემორჩილებოდნენ. ყველა მნიშვნელოვან საკითხზე გადაწყვეტილებები კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოსკოვში მიიღებოდა. საბჭოთა კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის მე-14 მუხლის მიხედვით, სსრკ-ს ხელისუფლების ექსკლუზიური უფლებამოსილებების სფეროს განეკუთნებოდა ისეთი საკითხები, როგორებიცაა საერთაშორისო ურთიერთობები, თავდაცვის პოლიტიკა, საზღვრების დაცვა, საგარეო ვაჭრობა, ეროვნული უსაფრთხოება, ეკონომიკა, ტრანსპორტი, კომუნიკაციები, ჯანდაცვა, შრომითი უფლებები და კანონშემოქმედება.[56]

---

[54] Huber, M. "State-building in Georgia: Unfinished and at Risk?", 2004, P. 28

[55] ჯონსი, ს. „საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ", 2012, გვ. 11

[56] The Constitution of the USSR, 1936, Article 14

რაც შეეხება გაერთიანებაში შემავალი ქვეყნების უფლებამოსილებებს, მათ დამოუკიდებელი პოლიტიკის შემუშავება მხოლოდ ისეთ სფეროებში შეეძლოთ, როგორებიცაა ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და კულტურა.[57] შესაბამისად, სსრკ-ს წევრი რესპუბლიკები თვითმმართველობის უკიდურესად დაბალი ხარისხით სარგებლობდნენ. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა კორუფციაც. 1970 წლისთვის საბჭოთა საქართველოში, საერთო კრიმინალის 40% კორუფციასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე მოდიოდა.[58] მსგავსი მასშტაბის კორუფციამ ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასა და გამართული სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას შეუშალა ხელი. მნიშვნელოვანი სირთულეები არსებობდა ხელისუფლების დანაწილებასთან დაკავშირებითაც, დამოუკიდებლობის საწყის წლებში საქართველოში სახელისუფლებო შტოებს შორის ბალანსი პრაქტიკულად მოშლილი იყო. სასამართლო ხელისუფლება და ძალოვანი სტრუქტურები არ იყო თავისუფალი პოლიტიკური გავლენებისგან, რაც ხელს უშლიდა საქართველოში ლიბერალური დემოკრატიებისთვის დამახასიათებელი „კონტროლის და ბალანსის სისტემის“ განვითარებას.[59] სახელმწიფოს მართვის ინსტიტუციური გამოცდილების ნაკლებობის, კონტროლისა და ბალანსის მექანიზმების სისუსტის, კორუფციისა და კანონის უზენაესობასთან არსებული პრობლემების გამო საქართველომ თავისუფალი და დემოკრატიული გარემო ვერ უზრუნველყო. მსგავსი რეალობა ქვეყანაში ლიბერალიზმის გავრცელებისთვისაც აღმოჩნდა სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორი.

---

[57] The Constitution of the USSR, 1936, Article 15

[58] Kramer, J.M “Political Corruption in the USSR”, 1977, P. 214

[59] Huber, M. “State-building in Georgia: Unfinished and at Risk?”, 2004, PP. 70-71

70 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირში ერთპარტიული სისტემა არსებობდა. კომუნისტური პარტია იყო ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც ლეგალურად არსებობდა და მონაწილეობდა არჩევნებში, შესაბამისად, ფორმალურად ჩატარებულ ყველა არჩევნებზე „კომუნისტებისა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკი“ იმარჯვებდა.[60] სსრკ-ის დაშლის შემდგომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების წარუმატებელი ტრანზიცია ლიბერალურ დემოკრატიაზე მნიშვნელოვნად განაპირობა პოლიტიკური პლურალიზმის ისტორიული გამოცდილების არარსებობამ. მიუხედავად სსრკ-ის დაშლისა, ქვეყანაში არსებულმა პარტიებმა ვერ შეძლეს მრავალპარტიული პოლიტიკური სივრცის კონსოლიდაცია. დღემდე პარტიათა ძირითად პრობლემას არა იმდენად სახელმწიფო რეპრესიები, არამედ საკუთარი სისუსტე წარმოადგენს. ამ სისტემას რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტის ერთობლიობა ახასიათებს. უპირველეს ყოვლისა, საქართველოში დღესდღეობით არსებული მოდელი „სუსტი მრავალპარტიულია“, რომელშიც ძირითადად ერთი ან ორი დიდი პარტია დომინირებს.[61] იქიდან გამომდინარე, რომ განვითარებული ლიბერალური დემოკრატიული სახელმწიფოებისგან (მაგალითად აშშ და დიდი ბრიტანეთი) განსხვავებით საქართველოს პოლიტიკური კულტურის დაბალი მაჩვენებელი და პოლიტიკური სპექტრის უკიდურესი პოლარიზაცია ახასიათებს, ქვეყანაში ორპარტიულმა სისტემამ მანკიერი სახე მიიღო. საქართველოში დღემდე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ლიდერის ფაქტორი, რაც გულისხმობს იმას, რომ

[60] Brim, R.J & V. Zaslavsky "The Functions of Elections In The USSR", 1978, P. 362

[61] პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი, 2010, გვ. 1, Transparency International Georgia

პარტიული აპარატი ზედმეტადაა დამოკიდებული კონკრეტულ პიროვნებაზე.[62]

საქართველოში არსებული პარტიული სისტემებისთვის ასევე დამახასიათებელია შიდაპარტიული დემოკრატიის მწვავე დეფიციტი, პარტიული პოლიტიკის ცენტრალიზაცია და პოლიტიკური სპექტრის უკიდურესი პოლარიზაცია.[63] ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რაზეც საქართველოს სხვადასხვა რეგიონული თუ საერთაშორისო ორგანიზაციები (მათ შორის ევროპის კავშირი, ევროსაბჭო და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი – ODIHR) მიუთითებენ.[64] ცალკე საკითხია პარტიების არასტაბილურობა, რომლის ერთ-ერთი გამოწვევი მიზეზი ისაა, რომ ისინი უმეტესად თავს არიდებენ საკუთარი პარტიული პროგრამის კონკრეტულ იდეოლოგიაზე დაფუძნებას. კვლევები აჩვენებს, რომ პარტიასა და ამომრჩეველს შორის კავშირი ყველაზე სტაბილურია, როდესაც ის პარტიულ ხაზს მიყვება, რაც ხელს უწყობს პოლიტიკური კურსის მოულოდნელი ცვლილებების თავიდან არიდებას.[65] განუვითარებელმა პარტიულმა სისტემამ 1990-იანი წლებიდანვე კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საქართველოში ლიბერალიზმის გავრცელება და მისი ადეკვატური აღქმა. ლიდერზე ზედმეტად დამოკიდებული და იდეოლოგიისგან სრულად დაცლილი პოლიტიკური ორგანიზაციები

---

[62] Nodia, G., Georgia (still) without political parties, 2017 - https://jam-news.net/georgia-still-without-political-parties/ (მოძიების თარიღი 26.11. 2020)

[63] პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი, 2010, გვ. 2, Transparency International Georgia

[64] პოლიტიკური პოლარიზაციის უკიდურესად მაღალი დონე საქართველოში და მისი გავლენა დემოკრატიაზე, 2017, გვ. 1, Democracy Reporting International

[65] არის თუ არა დემოკრატია შესაძლებელი სტაბილური პოლიტიკური პარტიების გარეშე?, 2017, გვ. 1 Georgian Institute of Politics

ქვეყანაში იდეოლოგიების შესახებ საჯარო დებატებსა და დისკუსიებს ვერ უზრუნველყოფდნენ, ლიბერალიზმი და ზოგადად იდეოლოგიური საკითხი თითქმის სრულად იყო განდევნილი ქართული პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგიდან, რამაც საქართველოში ლიბერალიზმის გავრცელებას სერიოზული დაღი დაასვა.

საქართველოში ლიბერალიზმის დამახინჯებული აღქმის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს ცენტრალიზებულიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სირთულეებიც წარმოადგენს. საბჭოთა კავშირში ეკონომიკური ცხოვრება ცენტრალურ დაგეგმარებაზე იყო დაფუძნებული, რაც იმას ნიშნავდა, რომ ყველანაირ რესურსს სახელმწიფო აპარატი აკონტროლებდა. ნაცვლად იმისა, რომ კერძო კომპანიებს და მეწარმეებს თავად გაერკვიათ, თუ რა პროდუქციაზე და რა რაოდენობით იყო მოთხოვნა (როგორც ეს ხდება თავისუფალი ბაზრის პირობებში), სპეციალური სახელმწიფო ორგანო წყვეტდა, რა უნდა ყოფილიყო ნაწარმოები, რა რაოდენობით, სად უნდა გაყიდულიყო, რა ფასად და ა.შ.[66]

სსრკ-ს დანგრევის შემდეგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის გამოიკვეთა გარდამავალი პერიოდის პრობლემები, მათ შორის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრობლემა ცენტრალიზებულიდან ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასვლას უკავშირდებოდა.[67] თუმცა, ამ პროცესის სირთულიდან გამომდინარე, ცენტრალური დაგეგმარებითი ეკონომიკიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკად გარდაქმნას მნიშვნელოვანი შეცდომების გარეშე არ ჩაუვლია. ერთ-ერთ ძირითად პრობლემას ის ფაქტი წარმოადგენ-

[66] Harrison, M. "The Soviet Economy, 1917-1991: Its Life and Afterlife", 2017, PP. 3-4

[67] მაგშტადტი, თ. „გავიგოთ პოლიტიკა: იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები", 2010, გვ. 222

და, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ზოგიერთს საერთოდ არ გააჩნდა ტრანსფორმაციისთვის აუცილებელი ინსტიტუტები. ამ თვალსაზრისით გამონაკლისს არც საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური რეფორმები წარმოადგენდა.[68] საბჭოთა პერიოდის საქართველოს ეკონომიკა წარმოადგენდა სსრკ-ს ერთიანი ეკონომიკური სივრცის ნაწილს და მისი მართვა ხდებოდა ,,ცენტრიდან" (მოსკოვი), ისევე როგორც სხვა ,,მოძმე" საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკების. იმის გამო, რომ ქვეყნის ეკონომიკა ფაქტობრივად 100%–ით დამოკიდებული იყო საბჭოთა სისტემაზე, დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველოში ეკონომიკური აქტივობა მნიშვნელოვნად დაეცა. ამას დაემატა სამოქალაქო დაპირისპირება და ომები ტერიტორიული მთლიანობისთვის, რამაც ისედაც განადგურებული ეკონომიკა კიდევ უფრო ღრმა კრიზისში ჩააგდო. კრიზისი ხასიათდებოდა ენერგოპროდუქტებზე გაზრდილი ხარჯების რაოდენობით და ეროვნული ვალუტის ჰიპერინფლაციით.[69] საქართველოსთვის უცხო იყო კონკურენციასა და მოთხოვნა-მიწოდების პრინციპებზე დამყარებული ეკონომიკური პროცესები.[70] 1990-იანი წლების მწვავე კრიზისმა საქართველოს მოსახლეობაში საბჭოთა კავშირის მიმართ გარკვეული სენტიმენტები გააღვივა. ეკონომიკის 70%-იანმა ვარდნამ ხალხში ლიბერალური ეკონომიკის მიმართ იმედგაცრუება გამოიწვია, გაჩნდა განცდა, რომ საშუალო სტატისტიკური ქართველი გეგმიური ეკონომიკის პირობებში

[68] ბურდული, თ. „ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში: გზა შოკური თერაპიიდან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონამდე", 2015, გვ. 32

[69] Huber, M. "State-building in Georgia: Unfinished and at Risk?", 2004, P. 57

[70] Krelle, W. "Problems of Transition from a Planned to a Market Economy", 2000, P. 2

გაცილებით უკეთ ცხოვრობდა, რამაც ლიბერალიზმის იდეის დისკრედიტაციას შეუწყო ხელი.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ, მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩენილ საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციები და პარტნიორები საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლისკენ და სახელმწიფოს ხელში არსებული საწარმოების პრივატიზაციისკენ მოუწოდებდნენ. პირველად 1993 წლის 9 აგვისტოს იქნა მიღებული კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“, რომელმაც დასაბამი მისცა პრივატიზების პროცესის პირველი ეტაპის დაწყებას.[71] თუმცა აღნიშნული პროცესის სამართლიანად ჩატარებასთან დაკავშირებით, შედეგებიდან გამომდინარე, ლოგიკური ეჭვები და კითხვები არსებობს. ადამიანების საკუთრებაში გადავიდა საცხოვრებელი ბინები, რომლებიც მანამდე ასევე საბჭოთა სახელმწიფოს ეკუთვნოდა. ეკონომიკური თვალსაზრისით ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან შესაძლებელი გახდა უძრავი ქონების გაყიდვა და მიღებული თანხით ეკონომიკური სარგებლის მისაღებად რაიმე საქმიანობის დაწყება, თუმცა, პრივატიზაცია არასრულად მოხდა, რადგან აქტივების ძირითადი ნაწილი კვლავ რჩებოდა სახელმწიფოს მფლობელობაში.[72]

პრივატიზაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა სახელმწიფოს ხელში არსებული საწარმოებისა და სავაჭრო ობიექტების განკერძოებას ენიჭება. იმის ნაცვლად, რომ ასეთი ობიექტები სახელმწიფოს უბრალოდ გაეყიდა, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს დაურიგდა 30 აშშ დო-

---

[71] ელიაძე, თ. „სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებით სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებით საქართველოს საფინანსო-სამართლებრივი რეგულაციები“, 2014, გვ. 20

[72] Investor's Guide to Privatization in Georgia, 2019, P. 10

ლარად შეფასებული ვაუჩერები (1 მოსახლეზე – 1 ვაუჩერი) და ფორმალურად მიეცა საშუალება ამ ვაუჩერის საშუალებით შეეძინა წილი რომელიმე საწარმოში. შედეგად, აღნიშნული ვაუჩერები იყიდებოდა ბევრად უფრო დაბალ ფასში, ისინი შეიძინეს ძირითადად მოსახლეობის იმ ნაწილმა, რომელთაც დიდი რაოდენობით კაპიტალის დაგროვება მოახერხეს საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში, შესაბამისად ეკონომიკური თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ობიექტები სწორედ მათ ხელში გადავიდა.[73]

საქართველოში დაწყებული პრივატიზაციის ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაკლოვანება ის გახლდათ, რომ საწარმოო საშუალებები მოხვდა ძირითადად ყოფილ საბჭოთა ბიუროკრატთა და ე.წ. წითელ დირექტორთა ხელში, რომელთაც „საქმის კეთების“ მხოლოდ სოციალისტური გამოცდილება გააჩნდათ. პრივატიზაციის პროცესისთვის დაბრკოლებას წარმოადგენდა საზოგადოებაში და ხელისუფლებაში არსებული სტერეოტიპები. ერთ-ერთი სტერეოტიპის მიხედვით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სტრატეგიული ინფრასტრუქტურის პრივატიზაცია ზიანის მომტანი იქნებოდა ქვეყნისთვის. ასეთ ობიექტებში როგორც წესი მოიაზრებოდა პორტები, რკინიგზა, ჰიდროელექტრო სადგურები და სხვა. აქედან გამომდინარე, ასეთი ტიპის საწარმოები რჩებოდა სახელმწიფო საკუთრებაში, რაც ბუნებრივად ხელს უწყობდა მათ არაეფექტურ გამოყენებას და კორუფციისთვის ხელსაყრელი წინაპირობების შექმნას. აღნიშნული რეფორმის ნაკლოვანებების გამო, ქართული საზოგადოების საკმაოდ დიდმა ნაწილმა პრივატიზაცია ე.წ. „პრიხვატიზაციასთან“ გააიგივა, რამაც ქართულ საზოგადოებაში თავისუფალი სა-

[73] იქვე, გვ. 11

ბაზრო ეკონომიკისა და ლიბერალიზმის საბაზისო პრინციპების დისკრედიტაცია გამოიწვია.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ, რუსეთის ფედერაციამ მისი საგარეო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენის აღდგენისკენ მიმართა. ამისთვის ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში კრემლი ხშირად ეთნიკურ კარტს ათამაშებდა და დროდადრო საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევას ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტების პროვოცირებით, მისთვის სასურველი სტატუს-ქვოს შექმნითა და ბოლოს კონფლიქტის „გაყინვით" ცდილობდა. დამოუკიდებლობის აღდგენიდან მალევე, რუსეთის ფედერაციამ გააქტიურა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მოქმედი სეპარატისტული ჯგუფები, რომელთა მიზანი საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური დესტაბილიზაციის შექმნა იყო. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მალევე კრემლმა აამუშავა ე.წ. შენელებული მოქმედების ნაღმები. ვითარება გამწვავდა ჯერ ცხინვალის რეგიონში, ხოლო შემდგომ აფხაზეთში. აფხაზების მიერ „დამოუკიდებლობისთვის", ეთნიკური პრივილეგიებისა და ერთგვარი აპარტეიდის ინსტიტუციონალიზაციისთვის ბრძოლა რუსეთმა ახლადაღდგენილ ქართულ სახელმწიფოზე გავლენის შესანარჩუნებლად გამოიყენა. აფხაზეთის ომმა (1992-1993) საქართველოსთვის მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები მოიტანა. ოფიციალურმა თბილისმა დე-ფაქტო კონტროლი დაკარგა ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან რეგიონზე.[74] ამასთან, ომის შედეგად საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან იძულებითი გადაადგილება დაახლოებით 300 000 ადგილობრივ მოსახლეს

[74] Siddi, M. "A Short History of the Georgian-Abkhaz Conflict from its Origins to the 2008 War", 2012, P. 5

მოუხდა.[75] აღნიშნულმა საქართველოში არსებული მძიმე სოციალური ფონი კიდევ უფრო გააუარესა.

ორ რეგიონზე კონსტიტუციური წესრიგის მოშლა საქართველოსთვის შემდეგ პრობლემებს ქმნის: 1. საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ ვრცელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების მიერ კონტროლირებად და რუსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე უმაღლეს ავტორიტეტს სხვადასხვა ხელისუფლება წარმოადგენს; 2. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსაზღვრე რეგიონებზეც, რომლებზეც საქართველოს ხელისუფლების კონტროლი ვრცელდება.[76] რუსეთის ფედერაციის სტრატეგიულმა მიზანმა, გამოეყენებინა კონფლიქტური რეგიონები საქართველოს დესტაბილიზაციისთვის, მნიშვნელოვანი გამოწვევები გააჩინა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებასა და სახელმწიფოს მშვიდობიანი განვითარებისთვის. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ განგრძობადმა რუსულმა ოკუპაციამ საქართველოს ტერიტორიაზე უკიდურესად მავნე გავლენა მოახდინა ქვეყნის დემოკრატიულ ტრანსფორმაციაზე და ხელი შეუშალა მას სრულფასოვან ლიბერალურ დემოკრატიად ჩამოყალიბებაში.[77] 1990-იანი წლებიდან საქართველოში რუსეთის პროვოცირებით დაწყებულმა ეთნო-ტერიტორიულმა კონფლიქტებმა დამოუკიდებლობის პირველ წლებში ქვეყნის პოლიტიკური ძალების ყურადღება სრულად მიიპყრო და ლიბერალიზმისთვის არახელსაყრელი პირობები შექმნა. ამავდროულად, აღნიშნული კონფლიქტების ფაქტორიდან

[75] Status of internally displaced persons and refugees from Abkhazia, Georgia, and the Tskhinvali region/South Ossetia, Georgia, 2020, P. 6

[76] Huber, M. "State-building in Georgia: Unfinished and at Risk?", 2004, PP. 45-46

[77] იქვე, გვ. 28

გამომდინარე, ამ პერიოდის საქართველოში ეთნონაციონალიზმის იდეებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოიპოვა. როგორც სხვა ყველა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებისთვისაა დამახასიათებელი, საქართველოს შემთხვევაშიც ეთნონაციონალიზმმა დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესში გადამწყვეტი როლი ითამაშა, მაგრამ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მან ქვეყანაში ლიბერალური იდეების გავრცელებას შეუშალა ხელი.

პოსტსაბჭოთა სივრცეზე საკუთარი გავლენების აღსადგენად სსრკ-ს სამართალმემკვიდრე – რუსეთის ფედერაცია ეთნოტერიტორიული კონფლიქტების გაღვივების გარდა, სხვა გზებსაც მიმართავს, მათ შორის, ქმნის მის მიერ კონტროლირებად უსაფრთხოების, ეკონომიკური და სავაჭრო პროფილის ორგანიზაციებს, როგორიცაა დსთ (რომლის წევრიც საქართველო 1993-დან 2009 წლამდე იყო), კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია, ევრაზიული ეკონომიკური გაერთიანება და ა.შ.[78] და წარმოადგენს მათ როგორც ლიბერალურ-დემოკრატიული მოდელის საპირისპირო უფრო ეფექტურ ალტერნატივად.

პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენის აღსადგენად მოსკოვი ცდილობს ხელი შეუშალოს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ლიბერალურ და დემოკრატიულ განვითარებასა და დასავლურ სტრუქტურებთან მათ დაახლოებას. რუსეთის ფედერაციამ ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულიდან დაიწყო „ცივი ომის“ შემდგომ ჩამოყალიბებული იმ საერთაშორისო წესრიგის რევიზია, რომელიც დაფუძნებულია ლიბერალურ პრინციპებზე.[79] ლიბერალურ-დემოკრატიული

[78] Regional organisations in the post-Soviet space, European Parliament, 2015 – https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/ATAG/2015/545718/EPRS_ATA(2015)545718_REV1_EN.pdf (მოძიების თარიღი 26.11.2020)

[79] Clunan A.L. “Russia and the Liberal World Order”, 2018, P. 45

მსოფლიო წესრიგის მიხედვით, ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს დამოუკიდებლად, სხვა სახელმწიფოების აზრის გაუთვალისწინებლად, საკუთარი საგარეო პოლიტიკური კურსის არჩევის უფლება. რუსული გრანდსტრატეგიის საბოლოო მიზანი კი ლიბერალური მსოფლიო წესრიგის მორღვევა და ტრადიციული, გავლენის სფეროებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის აღდგენაა. სწორედ ამიტომ რუსეთი ყველანაირად ცდილობს, ხელი შეუშალოს საქართველოში ლიბერალური რეფორმების გატარებას, რადგან კრემლი ამაში, ერთი მხრივ, საქართველოს დასავლურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებში (ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, ევროპის კავშირი) მომავალი ინტეგრაციის და საქართველოზე გავლენის დაკარგვის, ხოლო, მეორე მხრივ, მისთვის სახიფათო დემოკრატიული პრეცედენტის გაჩენის საფრთხეს ხედავს. 2008 წლის აგვისტოს ომის მიზანსაც, რეალურად, საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის შეჩერება წარმოადგენდა.[80]

რუსეთი საქართველოში ლიბერალური იდეების დისკრედიტაციას ჰიბრიდული მეთოდების გამოყენებით ცდილობს, რაც მეტოქის დასასუსტებლად და საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად სამხედრო, ეკონომიკური, დიპლომატიური, ინფორმაციული და სხვა დამხმარე საშუალებების ერთდროულ გამოყენებას გულისხმობს.[81] საქართველოში რუსეთის ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული მიზანია, აღკვეთოს პროდასავლური, ლიბერალურად განწყობილი ჯგუფების გაძლიერება და, ამის საპირისპიროდ, ხელი შეუწყოს იმ რადიკალური ულტრანაციონალისტური და ულტრამემარცხენე ჯგუფების საქმიანობას, რომლებიც ღიად

[80] ასმუსი, რ.დ. „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“, 2010, გვ. 237

[81] MCDC Countering Hybrid Warfare Project: Understanding Hybrid Warfare, 2017, Multinational Capability Development Campaign, P. 3

ეწევიან ლიბერალური დემოკრატიის, ლიბერალიზმის იდეისა და დასავლური სამყაროს დისკრედიტაციას და მმართველობის რუსულ მოდელს საქართველოსთვის ყველაზე მისაღებ ალტერნატივად წარმოაჩენენ. ასეთ ორგანიზაციებს განეკუთვნებიან როგორც კონკრეტული პოლიტიკური პარტიები, მედიები და არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი, ისე საქართველოს საპატრიარქოს ნაწილი, რომელიც ლიბერალური იდეების დისკრედიტაციას ღიად ეწევა და ერთმორწმუნეობის ლეგენდირებით რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციაზე საუბრობს.[82] აღნიშნული ფაქტები ააშკარავებს კრემლის ძალისხმევას, რბილი ძალის გამოყენებით გაავრცელოს საქართველოს მოქალაქეებში ანტილიბერალური ნარატივები. პუტინის რუსეთის მიერ წარმატებით წარმოებული ჰიბრიდული ომი განაპირობებს იმას, რომ არაინფორმირებული საქართველოს მოქალაქეების გარკვეულ ნაწილში გავრცელებული მითების მიხედვით, ლიბერალიზმი ანტიეროვნულ, ანტიქრისტიანულ და ანტიტრადიციულ იდეოლოგიად აღიქმება, რომლის მთავარ მიზანს ეროვნული იდენტობის, ცხოვრების წესისა და რელიგიისთვის ძირის გამოთხრა წარმოადგენს.

[82] კრემლის გავლენის ინდექსი, 2017, გვ. 17-22, Media Development Fund

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალიზმი ქრისტიანობასა და ჰუმანისტურ იდეებზეა დაფუძნებული, საქართველოში სხვადასხვა მემარცხენე და ულტრანაციონალისტური ჯგუფების მიერ მის შესახებ რადიკალურად განსხვავებული ნარატივები ვრცელდება. ლიბერალიზმი წარმოჩენილია, როგორც რელიგიის, იდენტობისა და ჰუმანიზმის წინააღმდეგ მებრძოლი იდეოლოგია. თანამედროვე საქართველოსგან განსხვავებით, ლიბერალიზმის არსი ადეკვატურად ესმოდათ XIX საუკუნის ქართველ მოაზროვნეებს, რომლებიც ლიბერალური ღირებულებების ფართო გავრცელებას ცდილობდნენ. სამწუხაროდ, აღნიშნული პროცესი 1921 წლის ბოლშევიკურმა აგრესიამ დაამუხრუჭა. კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ, რეპრესიულმა პოლიტიკამ, დახვრეტებმა, გადასახლებებმა, ემიგრაციამ, ცენზურამ, სახელმწიფო პროპაგანდამ და ბელადის კულტის დანერგვამ საქართველოს ლიბერალური წარსული გააქრო, სსრკ-ს რღვევის შემდეგ კი საბჭოთა მემკვიდრეობა და მისგან თავის დაღწევის პროცესი საქართველოს მოსახლეობისთვის იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ მან ლიბერალიზმის ხელახლა გავრცელებასა და ქართველ ლიბერალთა მოღვაწეობის გადააზრებაზე მკვეთრად უარყოფითი გავლენა იქონია. გარდა ამისა, რუსეთის ხელისუფლებაში ვლადიმერ პუტინის მოსვლის შემდეგ გააქტიურებულმა ჰიბრიდული ომის მეთოდებმა ლიბერალიზმს მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც

მნიშვნელოვანი გამოწვევები შეუქმნა. დღესდღეობით, რუსული ანტიდასავლური და ანტილიბერალური პროპაგანდა საქართველოში ლიბერალიზმის გავრცელებისთვის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია. ლიბერალიზმის შესახებ საზოგადოების ფართო მასებში გავრცელებული მითები სწორედ ამით აიხსნება.

დამოუკიდებლობის აღდგენიდან 30 წლის შემდეგ, საქართველოსთვის წარმატებული სახელმწიფოს ასაშენებლად წარსულის ადეკვატურად შეფასება და რეალობის საღი აზრით განსჯის უნარი, ილიასეული ლიბერალიზმი და ჯანსაღი საჯარო დისკუსიები სასიცოცხლოდ აუცილებელია. უპირველესად აკადემიური სფეროს პასუხისმგებლობა ლიბერალური იდეების შესახებ შესახებ მცდარი ინფორმაციის გამოაშკარავებაა. ქვეყნის განვითარებისთვის კი საჭიროა, რომ პოლიტიკურ პარტიებს გარკვეული ღირებულებები და იდეოლოგიური შეხედულებები აერთიანებდეთ და არა ნებისმიერ ფასად ძალაუფლებისა და პირადი სარგებლის მოპოვების სურვილი. გარდა ამისა, საჭიროა მედიისა და სამოქალაქო სექტორის აღნიშნული მიმართულებით გააქტიურება. ყველა პოლიტიკური იდეოლოგია ცდილობს ამოხსნას ამოცანა, თუ საზოგადოებისა და სახელმწიფოს როგორი მოწყობაა ყველაზე სამართლიანი და ოპტიმალური. პოლიტიკური გარემო კი ჯანსაღი და განვითარებაზე ორიენტირებული მაშინაა, როდესაც ის ადამიანის ღირსებას პატივს სცემს და ღირებულებებზე დაფუძნებული არჩევანის გაკეთების საშუალებას სთავაზობს. სწორედ ასეთად მიიჩნევა დღეს ლიბერალური დემოკრატია და მის ფასეულობებზე აგებული პოლიტიკა, ვიდრე კაცობრიობა სხვა უფრო სამართლიან და წარმატებულ მოდელს შეიმუშავებს.

ბიბლიოგრაფია:

ქართულენოვანი ლიტერატურა:

ასმუსი, რ.დ. „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“, 2010, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;

ბერაია, ა. „ფემინისტური დიალოგი“, 2017, კავშირის საფარი;

ბურდული, თ. „ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში: გზა შოკური თერაპიიდან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონამდე“, 2015, თბილისი, GeoWell Research;

გოგიაშვილი, ო. „პოლიტიკური იდეოლოგიები“, 2004, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;

ელიაძე, თ. „სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებით სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებით საქართველოს საფინანსო-სამართლებრივი რეგულაციები“, 2014, თბილისი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი;

ვაჟა-ფშაველა. „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, 1905;

ვაჟა-ფშაველა. „თხზულებანი“, 1964, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“;

ინგოროყვა, პ. „თხზულებანი“, 1968, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“;

კახიშვილი, ლ. „არის თუ არა დემოკრატია შესაძლებელი სტაბილური პოლიტიკური პარტიების გარეშე?“, 2017, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი;

კინწურაშვილი, თ., ქურდაძე, დ., გელავა, ს. „კრემლის გავლენის ინდექსი“, 2017, თბილისი, მედიის განვითარების ფონდი;

მაგშტადტი, თ. „გავიგოთ პოლიტიკა: იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები“, 2010, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;

„პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი“, 2010, თბილისი, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო;

„პოლიტიკური პოლარიზაციის უკიდურესად მაღალი დონე საქართველოში და მისი გავლენა დემოკრატიაზე“, 2017, თბილისი, დემოკრატიის საერთაშორისო ანგარიში;

„სტალინიზმი საბჭოთა სკოლებში და სკოლის მოსწავლეების საქმე“ 2019, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი;

ჭავჭავაძე, ი. „დედათა საქმე“, 1888, ტფილისი;

ჭავჭავაძე, ი. “სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედეერობა და პროტექციონობა“, 1887, ტფილისი;

ჭავჭავაძე, ი. „უკანონოდ შობილთა უფლება“, 1898, ტფილისი;

ჭავჭავაძე, ი. „ცხოვრება და კანონი“, 1877-1881, ტფილისი;

ჭავჭავაძე, ი. „წოდებათა თანასწორობა“, 1888, ტფილისი;

ჯონსი, ს. „საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ“, 2013, თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი;

ინგლისურენოვანი ლიტერატურა:

Adamson, B. "Magna Carta, Liberalism and Human Rights", 2015, Murdoch, Western Australian Jurist, Vol.7;

Becker, S.O, Pfaff, S, Rubin, J. "Causes and Consequences of the Protestant Reformation", 2016, California, Economic Science Institute;

Brim, R.J & V. Zaslavsky "The Functions of Elections In The USSR", 1978, Soviet Studies Vol. 30, No. 3, Oxfordshire, Taylor & Francis LTD;

Charvet, J & Nay, E.K. "Introduction: what is liberalism?", 2008, Cambridge, Cambridge University Press;

Chkartishvili, M. & Kadagishvili, S. "Georgian Nationalism in the Nineteenth Century: Values, Ideals, Symbols", 2011, Conference: Georgian Nationalism in the Nineteenth Century: Values, Ideals, SymbolsAt: Macedonia, Ohrid;

Clunan A.L. "Russia and the Liberal World Order", 2018, Roundtable: Rising Powers and International Order;

Cullen, P.J. & Reichborn-Kjennerud, E. "Understanding Hybrid Warfare", 2017, Multinational Capability Development Campaign;

Dickey, L. "The French Revolution and Liberalism", 1992, Stuttgart, Politisches Denken Jarbuch;

Gibson J.R. "The Decembrists", 2016, California, Fort Ross Conservancy Library;

Graham, G. "Liberalism and Democracy", 1992, Journal of Applied Philosophy, New Jersey, Blackwell Publishing LTD;

Harrison, M. "The Soviet Economy, 1917-1991: Its Life and Afterlife", 2017, The Independent Review, Vol 22 (2), The Independent Institute;

Hayek, F. "The Road to Serfdom", 1944, Chicago, University of Chicago Press; Newman, L. "Descartes' Rationalist Epistemology", 2005, New Jersey, Blackwell Publishing LTD;

Hobbes, T. “Leviathan or the Matter, Forme, & Power of a Common-wealth Ecclesiasticall And Civill”,1651, London, Green Dragon;

Huber, M. “State-building in Georgia: Unfinished and at Risk?”, 2004, Hague, Netherlands Institute of International Relations;

Jahan, S., Mahmud, A.S., Papageorgiou, C. “What is Keynesian Economics”, 2014, Finance and Development, Vol. 51, International Monetary Fund;

Jones, S.F. “Russian Imperial Administration and the Georgian Nobility: The Georgian Conspiracy of 1832”, 1987, The Slavonic and East European Review, Vol 65 (1), Modern Humanities Research Association;

Kramer, J.M “Political Corruption in the USSR”, 1977, The Western Political Quarterly Vol. 30, No. 2, Salt Lake Ciry, University of Utah;

Krelle, W. “Problems of Transition from a Planned to a Market Economy”, 2000, Bonn Econ Discussion Papers, No. 4, University of Bonn Press;

Locke, J. “Two Treatises of Government”, 1689/90, London, Awnsham Churchill Publishing;

Mill, J.S. “On Liberty”, 1859, Cambridge, Cambridge University Press;

Montesquie, S.L. “The Spirit of the Law”, 1752, Ontario, Batoche Books;

Pedler, A. “Going to the People. The Russian Narodniki in 1874-1875, 1927, The Slavonic and East European Review, Vol 6 (16), Modern Humanities Research Association;

Pisch, A. „The Personality Cult of Stalin in Soviet Posters:1929–1953“, 2016, Canberra, Anu Press;

Poole, R.A. “Nineteenth-Century Russian Liberalism: Ideals and Realities”, 2011, Kritika Explorations in Russian and Eurasian History Vol. 16(1), Baltimore, Johns Hopkins University Press;

Ross, L.W. “Some Aspects of Soviet Education”, 1960, Ann Arbor, University of Michigan Press;

Siddi, M. “A Short History of the Georgian-Abkhaz Conflict from its Origins to the 2008 War”, 2012, Helsink, Finnish Institute of International Affairs;

Smith, A. “An Inquiry Into the Nature and Causes of Wealth of Nations”, 1776, London, W. Strahan and T. Cadell Publishing;

Soviet Youth Indoctrination, 1975, Dayton, Air Force Institute of Technology;

Tocqueville, A.D. “Democracy in America”, 1835, London, Saunders and Otley Publishing;

Tsertsvadze, M. “Participants of the Conspiracy of 1832 as presented in the epistolary heritage by N. Baratashvili”, 2015, Tbilisi, Literary Georgia Publishing;

Zafarullah, H. “Institution Building and Development: A conceptual Overview”, 1980, New South Wales, University of New England Publishing;

გამოყენებული დოკუმენტები:

The Constitution of the USSR, 1936;

The Declaration of Independence, 1776;

Investor’s Guide to Privatization in Georgia, 2019, Tbisili, MG Law Office;

გამოყენებული ინტერნეტ-წყაროები:

Definition of Liber, WordReference Random House Learner’s Dictionary of American English, 2021 – https://www.wordrefe-

rence.com/definition/-liber- (მოძიების თარიღი 08.12.2020);

Revolutions of 1848, Encyclopedia Britannica, 2021 – https://www.britannica.com/event/Revolutions-of-1848 (მოძიების თარიღი 08.12.2020);

Liberal Democracy, Encyclopedia Britannica, 2021 – https://www.britannica.com/topic/liberal-democracy (მოძიების თარიღი 09.12.2020);

Nodia, G., Anti-liberal nativist challenge to Georgia: how big it is and what can we do about it, Caucasus Institute for Peace and Democracy (CIPDD), 2020 - http://www.cipdd.org/upload/files/antiliberaluri-eng.pdf?fbclid=IwAR2iWAa_46Wu2Ku4utOb-2th1pe9r3tRaiy1luJPxMt4EBsdit7SqPbDjiNs (მოძიების თარიღი 18.11.2020);

Understanding and Combating Far-Right Extremism and Ultra-Nationalism in Georgia, Democracy Research Institute (DRI), 2020 – http://www.democracyresearch.org/files/47dri%20report%20far%20right%20eng.pdf?fbclid=IwAR3OP0bPBw7k3Ph9e7po1Y4i17DxN_sEaaFxSCq_GzSD5V-2S9o2IlmugJRY (მოძიების თარიღი 18.11.2020);

მურღულია, ქ., „ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის და ნაციონალიზმის გააზრება და მის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI), 2019 – http://www.democracyresearch.org/files/4DRI%20-%204%20tvis%20angarishi.pdf (მოძიების თარიღი 18.11.2020);

Tag Archives: ლიბერალიზმი, Politicano – https://politicano01.wordpress.com/tag/%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98/ (მოძიების თარიღი 19.11.2020);

ზერაია, ა. „როგორ ხდება ნეოლიბერალიზმის კონსტიტუციურ დონეზე დაკანონება“, 2017 – http://european.ge/rogor-

khdeba-neoliberalizmis-konstituciurad-dakanoneba/# (მოძიების თარიღი 19.11.2020);

Huseynov, R., Baltic States are no longer ex-Soviet, 2017 – https://moderndiplomacy.eu/2017/01/20/baltic-states-are-no-longer-ex-soviet/(მოძიების თარიღი 21.11.2020);

Egorov, B., How could Soviet citizens overcome the Iron Curtain during the Cold War?, 2017 – https://www.rbth.com/history/326931-how-soviet-citizens-curtain (მოძიების თარიღი 21.11.2020);

Nodia, G., Georgia (still) without political parties, 2017 – https://jam-news.net/georgia-still-without-political-parties/ (მოძიების თარიღი 26.11.2020)

სტამბა დამანი
Print House Damani

თბილისი, პ. ჩანჩიბაძის ქუჩა 6
☎ 214 34 01, 577 33 38 57
stamba.damani@gmail.com
f სტამბა დამანი / Print House Damani